გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N22 (9202) | 10 აგვისტო. 2016 წელი | ფასი 50 თეთრი

# 08. 08. 08.






7

6

## რაც არასდროს დაავიწყდება, შინდისია

ყველა ტყვიამ გულში გაიარა

## საკრებულომ მორიგი სხდომა გამართა



2

3 კრიტიკის მიზანი ლეგალური დასაქმებაა

მთას აკაკი შანიძის სახელი მიენიჭა 9

უბედურმა შემთხვევამ სოფელ დიდ ჯიხაიშში მცხოვრები ორი ძმის სიცოცხლე შეიწირა



## ვინ და როდის იყენებდა სახელისუფლებო რესურსს ველურად?

4

# საკრებულოს მორიგი სხდომა გამართა

**ლევან გაბეჩავა**



1 აგვისტოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე შეკრებილთ მაგიდებზე სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ გამოცემული ჟურნალები დახვდათ.

მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს მუზეუმის მასშტაბების გასაფართოებლად. ეს ჟურნალიც ამისი ნათელი მაგალითია. წარმატებებს ვუსურვებ ყველას, ვინც მხარში უდგას მუზეუმს, დღეს ჩვენთან სტუმრადაა ბატონი ჯონი ნადირაძე _ მუზეუმის შექმნის ინიციატორი და სულისჩამდგმელი. _ მიმართა საკრებულოს წევრებს ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ და სიტყვა ჯონი ნადირაძეს გადასცა, რომელმაც, თავის მხრივ, საკრებულოს, ადგილობრივ ხელისუფლებას მხარდაჭერისა და თანადგომისათვის მადლობა მოახსენა და მოკლედ ისაუბრა იმ საკითხების ირგვლივ, უახლოეს ხანში რომ იგეგმება.

შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ არასამთავრობო ორგანიზაცია ‘‘ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს’’ წარმომადგენლები წარადგინა და სიტყვა ამ ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს, ქალბატონ ნინო ხუხიას გადასცა.

კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა ‘‘ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს’’ წარმომადგენლებთან საუბარი.

ცხარე კამათი მოჰყვა დღის წესრიგის მე-4 საკითხის განხილვას, ‘‘სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას გადადგომის შესახებ’’.

აღინიშნა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში არ იყვნენ წარმოდგენილნი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები და ა. შ.

ქალბატონი მანანა სირბილაძე _ იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, რომელმაც საკრებულოს ეს საკითხი წარუდგინა, აღნიშნავდა, რომ კომისიამ კანონის დაცვით, გამჭვირვალედ იმუშავა. აღნიშნულ კომისიას გაწეული საქმიანობისთვის მადლობა ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამაც მოახსენა და კოლეგიალობისაკენ, სიმშვიდისაკენ მოუწოდა საკრებულოს წევრებს.

2015 წლის ივნისში საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე დაწერილი განცხადება-წერილი წაიკითხა იმედა გოგავამ, რომლის ავტორი თავად და საკრებულოში მისი ფრაქციის სახელით საკრებულოს წინაშე გამგებლის ანგარიშით გამოსვლის აუცილებლობას ეხებოდა. სამწუხაროა, რომ გამგებელი არ წარსდგა ანგარიშით საკრებულოსა და სამტრედიელ ამომრჩეველთა წინაშე! _ აღნიშნა მან.

_ უდიდეს პატივს ვცემ საკრებულოს, ჩემს სამტრედიელებს. წლის ბოლოსთვის ვგეგმავ ანგარიშით წარვსდგე საკრებულოს წინაშე. _ ასეთი იყო გამგებლის, ბატონი ვალერიანე ფოცხვერიას პასუხი.

საკრებულომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ მუნიციპალიტეტის გამგებლის, ვალერიანე ფოცხვერიას დანიშვნის საკითხი განიხილა, რომლის მიხედვითაც იგი ამ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა.

საკრებულომ განიხილა სხვა საკითხებიც და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

სხდომა დასრულდა.

ბატონი ნუგზარ ჯამბურია კოლეგებსა და მოწვეულ სტუმრებს დაემშვიდობა.

## კონკურსის გამოცხადება

3 აგვისტოს 55.54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგის მიხედვით ერთადერთი, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კონკურსის გამოცხადების შესახებ, საკითხი იყო განსახილველი.

კომისიის სხდომაზე ითქვა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსში კონკურსანტთა საბუთების წარდგენის საწყისი ვადა არის 4 აგვისტო, ხოლო საბოლოო _ 17 აგვისტო.

სხდომაზე ვადასთან ერთად განისაზღვრა კონკურსის პირობები. შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი ინფორმაცია: ა) კანდიდატის სახელი და გვარი, ბ) საარჩევნო უბნის ნომერი და დასახელება, სადაც მას სურს კომისიის წევრობა, გ) საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი.

განცხადებას ხელს უნდა აწერდეს განმცხადებელი და მასში უნდა აღინიშნოს, რომ იგი აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის ‘‘საქართველოს საარჩევნო კოდექსის’’ 24-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

განცხადებას თან უნდა დაერთოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ქსეროასლი და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება).

საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების დღემდე, არაუადრეს 50-ე დღიდან და არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 46-ე დღის ჩათვლით საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში მონაწილეთა დაუსწრებლად.

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ირჩევს სახელობითი კონკურსით. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

‘‘სამტრედიის მაცნეს’’ მკითხველს შევახსენებთ, 55.54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია მოიცავს 50 საარჩევნო უბანს. აქედან 21 ქალაქის, ხოლო 29 სოფლის საარჩევნო უბანია. თითოეულ მათგანზე ირჩევა 6 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.

***ნინო ნანიტაშვილი***



## სამტრედია
## სამტრედიის მუნიციპალიტეტის
## საკრებულოს
## განკარგულება №38142

**‘‘სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი/გამოსაფენი ადგილების სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ’’ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის №3898 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად განიხილა ‘‘სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი/გამოსაფენი ადგილების სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ’’ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის №3898 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხი და

**გადაწყვიტა:**

1. შეტანილ იქნას ცვლილება ‘‘სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი/გამოსაფენი ადგილების სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის №3898 განკარგულებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. ‘‘სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი/გამოსაფენი ადგილების სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ’’ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის №3898 განკარგულებას დაემატოს 4/1 პუნქტი: ‘‘სააგიტაციო მასალისათვის გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, გააკრას 1 ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2 ფორმატი).

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

***ნუგზარ ჯამბურია***
***საკრებულოს თავმჯდომარე***

## საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში ‘‘სამტრედიის მაცნე’’ იხელმძღვანელებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლისა და 2015 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეროვნული კომისიის დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 2 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი. მისი ღირებულება შეადგენს 200 ლარს.

# პროექტის მიზანი ლეგალური დასაქმებაა

ნინო ნანიტაშვილი

**სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტის სპეციალისტი თინათინ დუნდუა სამტრედიის მუნიციპალიტეტში საკონტაქტო პირია. სწორედ მასთან მოხდება პოლონეთსა და ესტონეთში დასაქმების მხრივ მსურველ ბენეფიციართა დარეგისტრირება.**

თინათინ დუნდუა, სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტის სპეციალისტი: ''მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო პირველი აგვისტოდან. უნდა მოგვმართონ სოციალური მომსახურების სამტრედიის ფილიალში. დარეგისტრირებულ მოქალაქეთა ინფორმაციებს მივაწვდი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას და ასევე დასაქმების დეპარტამენტს. ამის შემდეგ მიგრაციის სამსახური ჩვენს კადრებს მიიწვევს თავისთან, იქ მოხდება რეალური გადამოწმება, არიან თუ არა ისინი ნამდვილად სპეციალისტები. ჩვენი დეპარტამენტი მსურველებს დაეხმარება საბუთების სწორად შედგენაში. წინასწარ რისი თქმაც შემიძლია ის არის, რომ საშინელი ტრეფიკინგის პირობებში ეს პროექტი დაცულია სანდოობის მაღალი ხარისხით. დამსაქმებელი ვერ ჩაიდენს უკანონობას, რადგან ჩვენს ბენეფიციარებს იცავს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია''.

პროექტს ''საქართველოს სამუშაო ძალის დროებითი შრომითი მიგრაციის პილოტირება პოლონეთსა და ესტონეთში'' ახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს ოფისი ამავე ორგანიზაციის პოლონეთისა და ესტონეთის ოფისებთან თანამშრომლობით.

პირდაპირი ბენეფიციარები არიან შრომითი მიგრანტები საქართველოდან (პილოტირება _ 70 შრომითი მიგრანტი პოლონეთში და 10 ესტონეთში, ქალებისა და ახალგაზრდების თანაბარი მონაწილეობით), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დასაქმების კერძო სააგენტოები.

პარტნიორები საქართველოში: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, სახელწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს დიპლომატიური მისიები პოლონეთსა და ესტონეთში, დასაქმების კერძო სააგენტოების ასოციაცია.



პოლონეთი _ შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო, დამსაქმებლები, პროფკავშირები.

ესტონეთი _ ესტონეთის მეწარმეები, ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტრო და ესტონეთის დამსაქმებელთა კონფედერაცია, ესტონეთის უმუშევართა დაზღვევის ფონდი, პროფკავშირები, დასაქმების კერძო სააგენტოები, პოლიციისა და საზღვრის დაცვის ბიურო.

პროექტის მიზანია განავითაროს საქართველოდან პოლონეთსა და ესტონეთში შრომითი მიგრანტების დროებითი ლეგალური დასაქმების ოპერატიული მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს კადრებზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ეფექტურ კავშირს, მიგრანტთა პროფესიული უნარების განვითარებას, მათი შრომითი და ადამიანური უფლებების დაცვას.

პროექტი ითვალისწინებს პოლონეთის მიერ საქართველოსთვის შეთავაზებული დროებითი შრომითი მიგრაციის გამარტივებული რეჟიმის გამოყენების შესაძლებლობას და პოლონეთში შრომითი მიგრანტების ლეგალური დროებითი დასაქმების ხელშეწყობას.

ესტონეთი ევროკავშირის მეორე წევრი ქვეყანაა, რომელმაც გამოხატა ინტერესი საქართველოსთან რეგულირებული დროებითი შრომითი მიგრაციის პილოტირების სფეროში, განსაკუთრებული აქცენტით მაღალკვალიფიცირებულ კადრებზე.

შრომით მიგრანტთა დასაქმების ხელშესაწყობად პროექტით გათვალისწინებულია: პოლონეთში დასაქმებისათვის არანაკლებ 70 და ესტონეთში დასაქმებისათვის არანაკლებ 10 შრომითი მიგრანტის შერჩევა; მიგრანტების გამგზავრების წინ ორიენტაცია და ტრენინგი; მიგრანტთა გამგზავრების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაზღვევის კონტრაქტის ხელმოწერის და ა. შ. პროცედურების მხარდაჭერა; მიგრანტთა ჩასვლის შემდგომი ორიენტაცია და დამსაქმებელთან დაკავშირებაში დახმარება; პოლონეთსა და ესტონეთში დასაქმებული მიგრანტების მონიტორინგის განხორციელება.

ესტონეთში შრომის ბაზარზე ყველაზე მეტი მოთხოვნა იქნება შემდეგ სფეროებში: ავეჯის წარმოება (მოთხოვნის 61%), საფეიქრო და სამკერვალო წარმოება (30%), არალითონური მინერალების წარმოება (24%); პოლიგრაფია; მანქანათმშენებლობა (მათ შორის მოწყობილობებისა და ელექტროტექნიკის წარმოება; სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობა); კომპიუტერების წარმოება; საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ჯანდაცვა; სოციალური მომსახურება, სისტემების ანალიტიკოსი, აპლიკაციის პროგრამისტები, ვებგვერდის და მულტიმედიის დეველოპერები, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაყიდვების პროფესიონალები, ფინანსური და ინვესტიციების მრჩეველი და სხვა), სადაც დასაქმება მიგრანტებისათვის შედარებით შეზღუდულია იდენტური კომპეტენციებისა და დასაქმების პროცედურების სირთულის გამო.

***ინფორმაციისათვის: 2016 წლის ივნისის მდგომარეობით, ესტონეთში მინიმალური ხელფასია 430 ევრო. მაღალი კვალიფიკაციის მომუშავისთვის საშუალო ხელფასი შეადგენს 1050-1210 ევროს, საშუალო კვალიფიკაციის მომუშავისთვის _ 652-718 ევროს. დაბალი კვალიფიკაციის მომუშავისთვის _ 588-690 ევროს თვეში. ცხოვრებისათვის საჭირო საშუალო ხარჯები თვეში დაახლოებით 300-500 ევროა, აქედან კვების ხარჯებია 200-250 ევრო.***

გაცილებით მეტ მუშახელზეა მოთხოვნა პოლონეთში. პოლონეთის შრომის ბაზარზე კონკრეტული დეფიციტური და მოთხოვნადი პროფესიები სფეროების მიხედვით შემდეგია:

**მშენებლობა:** შემდუღებელი, კალატოზი, მებათქაშე და მსგავსი საქმიანობის მუშები, სამშენებლო დურგალი, სამშენებლო საქმიანობაში სახურავის და თუნუქის სამუშაოთა სპეციალისტი, სამშენებლო მემონტაჟე, რკინის კონსტრუქციების მუშა, სანტექნიკოსი და მილსადენის ფილტრაციის სპეციალისტი, ელექტრომექანიკოსი და ელექტრომემონტაჟე, ხისა და ლითონის მღებავი/გამლაქავი, სახურავის შემკეთებელი, მეშუშე და ფანჯრის ჩამსმელი, იატაკის დამგები, შპალერის გამკვრელი, გზის საფარის დამგები, მშენებელი ინჟინერი, მოპირკეთების სამუშაოთა ტექნოლოგი სამშენებლო საქმეში.

**ტრანსპორტი:** ავტობუსის და ტრამვაის მძღოლები, მძიმე სატვირთო მანქანის მძღოლი, მძიმე ტვირთმზიდვი ტრანსპორტის მძღოლი, მიწისმთხრელი მანქანების ოპერატორები და მექანიკოსები, ამწე კრანის, ელ. ჯალამბარის და სხვა ამწევი მანქანა-დანადგარების ოპერატორი, ამწევი სატვირთო მანქანების ოპერატორი.

**სოფლის მეურნეობა:** სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მინდორში, ბაღებსა და ფერმებში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი გადამუშავება, სოფლის მეურნეობის მანქანა-დანადგარების მექანიკოსი და შემკეთებელი, ხორცისა და თევზის დამუშავება.

**მრეწველობა:** ინჟინერ-მექანიკოსი, ელექტრიკოსი, მეშახტეები და შახტის მანქანა-დანადგარების ოპერატორები, სახარატო ჩარხების გამმართველი და ოპერატორი, ხარატი, ჭის მთხრელი და მბურღავი და მასთან დაკავშირებული მუშები, ხის ნაკეთობათა ოსტატი და დურგალი, მინისა და კერამიკის ქარხნის ოპერატორი, აბრეშუმის, ბეწვის და ტყავის წარმოების დანადგარების ოპერატორი, სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, შემფუთავი, ჩამოსასხმელი და ეტიკეტის დანადგარის ოპერატორი, გამომჭრელი და მკერავი და დაკავშირებული საქმიანობის მუშები, პლასტმასის პროდუქციის დანადგარის ოპერატორი, წარმოების მუშები, ინდუსტრიული მანქანა-დანადგარების მექანიკოსი და შემკეთებელი.

**მომსახურება:** ავტომექანიკოსი, ავტოშემკეთებელი, ავტომობილის კორპუსის მღებავი, მანქანის ავტომატიკის დიაგნოსტიკის ტექნიკოსი, პარიკმახერი, შეფმზარეული, მზარეული, კონდიტერი, მცხობელი, სწრაფი კვების მომზადების სპეციალისტი, სოცილური სამუშაოს სპეციალისტები ხანდაზმულებისა და შშმ პირთა მოვლისთვის, ძიძები, ბავშვის მომვლელი, პერსონალური მომვლელი სახლში, სპორტისა და ფიტნესის მუშაკი, შემოქმედებითი მუშაკები და მსახიობები.

**ვაჭრობა:** მაღაზიის თაროებზე პროდუქციის დამწყობი.

**საინფორმაციო ტექნოლოგიები:** სისტემის ადმინისტრატორი, სისტემის ანალიტიკოსი, გრაფიკის და მულტიმედიის დიზაინერი, პროგრამული უზრუნველყოფისა და ვებგვერდის დიზაინერი (პროგრამების სპეციალისტი _ ინტერნეტ ქსელისა და მულტიმედიის სპეციალისტი _ აპლიკაციების პროგრამისტი ვებსაიტის და მულტიმედიის დეველოპერები (ინტერნეტ ქსელისა და მულტიმედიის სპეციალისტი, ვებსაიტის ტექნიკოსები (ინტერნეტ-ტექნიკოსები).

დაინტერესებული პირები სხვა დაწვრილებით ინფორმაციას სამტრედიის სოციალური მომსახურების სააგენტოში მიიღებენ საკონტაქტო პირის, თინათინ დუნდუასაგან.

# ''მდიდარსა და ღარიბს შორის განსხვავება უნდა იყოს''

ნინო ნანიტაშვილი

დებეტის ნაკლებობის გამო ჭოგნარში სასმელი წყალი მოსახლეობას შეფერხებით მიეწოდება. აღნიშნული ინფორმაცია ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ოფეთის თემში გამგებლის წარმომადგენელმა გააჟღერა. შავლეგ თარგამაძის თქმით, სასმელი წყლის დეფიციტს აგვისტოს ცხელ დღეებთან ერთად მასზე მოხმარების გაზრდა იწვევს: ''ზაფხულში ტრადიციულად, ყოველთვის ასე ხდება, წყლის რაოდენობა სათავეშიც იკლებს. ამას ემატება დაკეტილ ოჯახებში ქალაქებიდან ამოსული მოსახლეობა და ხარჯიც იზრდება. ცხოვრების დონე წინ მიდის, ქალბატონებმა თანამედროვე სარეცხი მანქანები დაიდგეს და წყალზე მოთხოვნილებაც კიდევ უფრო გაიზარდა. ავზი, რომლითაც სოფელი სასმელი წყლით მარაგდება, 80 ტონიანია. ცალკეულ ოჯახებს 5-5 ტონიანი ცისტერნები აქვთ. 20-მა ოჯახმა რომ გაივსოს საკუთარი ავზი, საერთოში მეტი აღარ რჩება და შესაბამისად, წყალზე დეფიციტს ვღებულობთ. ზედა უბნის მოსახლეობამ წყალი რომ ''დააქაჩავა'', და ნათესები მორწყა საკარმიდამო ნაკვეთში, ქვედას დასალევი აღარ დარჩა. ზედა უბნელები ამბობენ, ეს ერთი სიკეთე გვაქვს და ესეც არ გამოვიყენოთო? ყველაზე ოპტიმალურ გამოსავალს გამრიცხველიანებაში ვხედავ. ამის შემდეგ მოსახელობა სასმელ წყალს გაუფრთხილდება და ბაღებში არ დააქცევს''.

შავლეგ თარგამაძის ''ოპტიმალური გამოსავალი'' ამ ეტაპზე რეალურად არ მიაჩნია სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს. ვალერიანე ფოცხვერიას თქმით, წყალზე მრიცხველი ქალაქის ზოგიერთი ნაწილისთვის ჯერ ფუფუნებად რჩება და სოფლების გამრიცხველიანება გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ ესახება.



მუნიციპალიტეტის გამგებელმა ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე სოციალური სამსახურის უფროსის, ლევან ახობაძისგან ახალი ინფორმაციები მოითხოვა. ვალერიანე ფოცხვერიამ იმ დღესაც გააკრიტიკა ტენდენცია, რომ საგარანტიოებითა და მედიკამენტებით დახმარებების პროცესში განსხვავება მდიდარსა და ღარიბს შორის არ არის: ''ჩვენ მგონი, ავცდით მთავარ მიზანს და უარს არ ვეუბნებით არავის. ვიცი, ძალიან ბევრს უჭირს, მაგრამ უნდა იყოს განსხვავება, ვის ძალიან უჭირს და ვის შედარებით ნაკლებად. მიმაჩნია, რომ თუ ოჯახს აქვს საშუალება, ოპერაციისა და მკურნალობის თანხა თვითონ უნდა გადაიხადოს. ჩვენთან კი სავალდებულო გახდა. ჩემი პოზიციაა: გაჭირვებულს არ ვუთხრათ დახმარებაზე უარი. კიდევ ვიმეორებ, მდიდარსა და ღარიბს შორის განსხვავება უნდა იყოს. პროგრამა, რომ გვაქვს საზოგადოებას ჰგონია ყველას ეკუთვნის''.





ღანირ-ჭაგნის მოსახლეობა კმაყოფილია, _ ტრადიციულ თათბირზე ასეთი მიმართვა დააფიქსირა ღანირის თემში გამგებლის წარმომადგენელმა. თამაზ გაბელაიას თქმით, ადგილობრივებმა ბოლოს და ბოლოს მიიღეს ის, რასაც რამდენიმე ათეული წელია სხვადასხვა ხელისუფლების დროს ითხოვდნენ.

თათბირის ბოლოს კონკრეტული საკითხის ირგვლივ ღანირში გამგებლის წარმომადგენელს ''სამტრედიის მაცნემ'' კომენტარი სთხოვა: ''მოსახელობამ თხოვნით მიმართა სამტრედიის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას, რომელმაც უდიდესი გულისხმიერება გამოიჩინა და საუკუნის პრობლემად ქცეული საკითხი მოგვიგვარა. მისი აქტიური ჩარევით გაიწმინდა არხი, რომელიც ფაქტობრივად გაუქმებული იყო. ვალერიანე ფოცხვერიასთან ერთად განსაკუთრებული მადლობა მინდა, მოსახლეობის სახელით გადავუხადოთ თენგიზ გულდედავას, დასავლეთ საქართველოს მელიორაციის სამმართველოს მენეჯერს, რომლის თაოსნობით ამოიწმინდა წყარო, რომელსაც სამკურნალო თვისებები გააჩნია, დაახლოებით 300 კვადრატული მეტრი. და ასევე უსასყიდლოდ, მათი ტექნიკითა და მუშახელით გაიწმინდა 1 კილომეტრი და 200 მეტრი სიგრძის არხი. სოფელმა შვებით ამოისუნთქა. შესრულებული სამუშაოებისთვის თანხა რომ მოეთხოვათ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი მთელი წლის ბიუჯეტი არ გვეყოფოდა''.

# ვინ და როდის იყენებდა სახელისუფლებო რესურსს ველურად?

ნინო ნანიტაშვილი

5 აგვისტოს, საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა შორის რეზონანსული აღმოჩნდა "სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი (გამოსაფენი) ადგილების სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ" გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა. მომხსენებელმა მანანა სირბილაძემ დარბაზს გადაწყვეტილების პროექტი გააცნო: 2016 წლის 17 ივნისის №98 განკარგულებას დაემატა 4/1 პუნქტი შემდეგი რედაქციით: "სააგიტაციო მასალისთვის გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, გააკრას ერთი ცალი საარჩევნო პლაკატი, ზომით არა უმეტეს სიგრძე 60 სანტიმეტრი, სიგანე 42 სანტიმეტრი. "ეს უკანასკნელი გამოწვეული იყო "სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისთვის" უწყებათაშორისი კომისიის 2016 წლის 27 ივლისის სხდომაზე მიღებული რეკომენდაციიდან. ამის შემდეგ რეკომენდაციები მიეცა ცალკეულ მუნიციპალიტეტებს, საარჩევნო სუბიექტებს თანაბარ პირობებში მოუხდეთ საარჩევნო კამპანიის წარმართვა".

ვიდრე კენჭს უყრიდნენ, საკითხის ირგვლივ განცხადება გააკეთა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის წევრმა.

მამუკა ბიბილეიშვილის თქმით სახელისუფლებო რესურსს ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალა ბოროტად იყენებს: "არჩევნები კარს არის მომდგარი. მინდა, ყველა მონაწილე პარტიას მივმართო, დავიცვათ კანონი. განსაკუთრებით ხელისუფლებას მოვუწოდებ, ნუ გამოიყენებენ საბიუჯეტო რესურსს მათი პარტიის ინტერესებისათვის. არის შემთხვევა, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ სამუშაოებს სახელისუფლებო პარტიის კანდიდატს მიაწერენ. და კიდევ _ საჯარო მოხელეები, გამგეობის თანამდებობის პირები "ოცნების" შტაბში იმ დროს ფიქსირდებიან, როცა მათ იქ ყოფნას კანონი უკრძალავს.

ჩვენგან არის მოწოდება და გაფრთხილება, სახელისუფლებო რესურსი არ იყოს ბოროტად გამოყენებული და ნურც ერთი ადამიანი ნუ მოხვდება გაუგებრობაში, თორემ ჩვენგან იქნება ძალიან მკაცრად გამოხატული პოზიცია".

მამუკა ბიბილეიშვილის იმდღევანდელ პათოსს დაეთანხმა, მაგრამ იქვე პოლიტიკური წარსული გაახსენა ოპოზიციონერ კოლეგებს ფრაქცია "რესპუბლიკელების" თავმჯდომარემ, იმედა გოგავამ, რომელსაც, სამწუხაროდ, არ ახსენდება 9 წლის განმავლობაში, მაშინდელი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა არჩევნების პირობებში სახელისუფლებო რესურსის გამოყენების ფაქტებს "ნაციონალების" მხრიდან რაიმე სახის პროტესტი მოჰყოლოდეს:

"ვეთანხმები მამუკა ბიბილეიშვილის ამ განცხადებას, მაგრამ იმავდროულად მინდა, ვთქვა, რომ მთელი 9 წელი ჩვენც ამას ვიძახდით, როცა ვიყავით ოპოზიციაში. მთელი ცხრა წლის განმავლობაში, მამუკა, თქვენი ხელისუფლება აბსოლუტურად ერთი ერთში, უფრო მეტად თუ არა, მაქსიმალურად იყენებდა სახელისუფლებო რესურსს. ეს არის ამ ქვეყნის ავადმყოფობა, ყველა ხელისუფლების ავადმყოფობა, რომ როგორმე გამოიყენონ სახელისუფლებო რესურსი. მე მაშინაც საკრებულოში ფრაქციის ხელმძღვანელი ვიყავი და ბევრი ჩემი კოლეგა ხედავდა, როგორ ხდებოდა ამ რესურსის გამოყენება და იგნორირებული იყო განსხვავებული აზრი. დღეს მიმაჩნია, რომ რაღაც გაგრძელებები ამას აქვს, თუმცა მასშტაბებზე ვერ ვისაუბრებ, რადგან ხელთ არ გამაჩნია კონკრეტული ფაქტი. თუ მექნება, აუცილებლად ვისაუბრებ ამასთან დაკავშირებით. მაგრამ ერთი მინდა, ხაზგასმით ვთქვა, თუ დღევანდელი ხელისუფლება არ გაიზიარებს ძველი ხელისუფლების შეცდომებს, მასაც ანალოგიურ ვერდიქტს გამოუტანს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები".

ოპოზიციონერი კოლეგის შენიშვნა-



ზე საკმაოდ ხისტი რეაქცია ჰქონდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, კობა ძიძიგურს: "მე დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი ოპოზიციაში და ძალიან კარგად მახსოვს ძველი მთავრობების მაშინდელი მოქმედებები. ჩემთვის სასიხარულოა, რომ მამუკა ბიბილეიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არაა კარგი ოპოზიციაში მყოფი ხალხის დაჩაგვრა და შევიწროება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. მართალია, მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამას არ ამბობდნენ, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ნამდვილად არ ვფიქრობ ისე , რომ დღეს ყველაფერი იდეალურადაა, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულება რომ ჩაგვრას და ხელების გადაგრეხაზე არაა ორიენტირებული, ალბათ, ყველა დამეთანხმება. ბევრი რამ შეიცვალა საარჩევნო კანონებში ოპოზიციის სასარგებლოდ, საჯარო მოხელეები თუ დადიან საარჩევნო შტაბში, მხოლოდ თავიანთი სურვილით და არა მთავრობის ზეწოლით და ისიც მხოლოდ შესაფერის დროს, შესვენებაზე ან სამუშაო საათების შემდეგ. მე თვითონ ვარ მომსწრე, რომ ამბობდნენ, შესვენება სრულდება, სამსახურში უნდა დავბრუნდეთო: თუ რომელიმეს გადაუცდა 5 წუთი და დაუფიქსირა ოპოზიციამ ფოტოაპარატით, ეს მათ სინდისზე იყოს. ყოველ შემთხვევაში ძალით არავინ მიჰყავთ შტაბში გამგეობისა თუ რკინიგზის თანამშრომლებიდან...

ეს კანონიც, რომელსაც ახლა ვღებულობთ, ითვალისწინებს ოპოზიციის ინტერესებს, ერთ პარტიას გამოყოფილ ადგილებზე მხოლოდ ერთი პლაკატის გაკვრა შეუძლია, რომ სხვა პარტიების ადგილიც დარჩეს, თუკი ამას რომელიმე პარტია დაარღვევს, დაისჯება კანონის შესაბამისი მუხლით; თუმცა სასურველია რომ პოლიტიკური კულტურა ისე ამაღლდეს ჩვენს ქვეყანაში, არც სხვისი პლაკატების ჩამოხევა იკადროს ვინმემ და არც მათზე გადაწებება. იმედი მაქვს, რომ მალე ჩამოყალიბდება საქართველოში ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენცია (ისეთი კურსი აქვს აღებული ახლანდელ ხელისუფლებას). იმის იმედიც მაქვს, რომ ვერ გაიმარჯვებს ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც ხელების გადაგრეხის დიდი პრაქტიკა აქვს და ძალადობის დიდი სურვილი; ჩვენი ხალხი ბრძენია და დარწმუნებული ვარ, რომ ბრძნულ არჩევანს გააკეთებს ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ძალადობა და პოლიტიკური ტერორი უკვე წარსულს ჩაბარდა, თუმცა ძალიან კარგად გვახსოვს წინა ხელისუფლების ("ნაციონალების") პერიოდში "სოდ"-ის, "კუდ"-ის, პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლების მოქმედება: ხალხის დაშინება, ვინც არ იყო "ნაციონალი", ან მათი მხარდამჭერი _ სამსახურში არ აჩერებდნენ, თუ ვინმე ნათესავი ჰყავდა ოპოზიციონერი ან კრიტიკულად განწყობილი ხელისუფლების მიმართ, სამსახურიდან ათავისუფლებდნენ. დაჭერით ემუქრებოდნენ ვინც ხმას არ აძლევდა "ნაციონალებს", ან მათი ოჯახის წევრი ან საერთოდ რომელიმე ნათესავი; ხელისუფლების ყველა შტო და ორგანიზაცია ემსახურებოდა მხოლოდ ერთ მიზანს _ ყველას ხმა უნდა მიეცა "ნაციონალური მოძრაობისთვის"! რათქმაუნდა ძალოვანი სტურქტურები აქტიურობდნენ უმაღლეს დონეზე: დაშინება, ტერორი, თვალთვალი, მოსმენები, დაჭერები, მათ შორის ფიზიკური განადგურებაც ყოფილი ხელისუფლების პერიოდში გავიარეთ და როცა იგივე ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლები ახლა ხელისუფლების ზეწოლაზე საუბრობენ, ირონიას უფრო ჰგავს, ვიდრე რაიმეს გამოსწორების სურვილს; თუმცა დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენი ხელისუფლება უსმენს "ნაციონალებს" და მათი მხრიდან მცირეოდენი მავნე მემკვიდრეობის გამოსწორებაზე "ზრუნვაც" მისაღებია.



როცა ოპოზიცია საუბრობს ხელისუფლების ზეწოლაზე, მახსენდება როგორი პირობები გვქონდა მაშინდელ ოპოზიციას "ნაციონალების" დროს. არ მახსოვს ,რომ ჩემი რომელიმე ინტერვიუ გამოექვეყნებინათ გაზეთ "სამტრედიის მაცნეში", ბლოკავდნენ სატელევიზიო კომენტარებს. ახლა რა გაქვთ საწუწუნო "ნაციონალებს", ვერ გამიგია, პრესა და ტელევიზია თქვენთვის თავისუფალია და ნებისმიერი თქვენი გამოსვლა შუქდება პრესაში და ტელევიზიაში".

მამუკა ბიბილეიშვილის განცხადებას ყველაზე ბოლოს უპასუხა თავად საკითხის მომხსენებელმა. იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ოპოზიციონერ კოლეგას იმაშიც შეედავა, რომ მას არც სხვა თანაპარტიელებისაგან გაუგონია და არც პირადად განუცხადებია, რომ ქვეყანაში დღეს საარჩევნო კუთხით იდეალური სიტუაცია იყოს: "ვერიდები ყველა საკრებულოს სხდომაზე კამათს და დაძაბულობას. თორემ "ნაციონალურ მოძრაობასთან" შედარებით იდეალურად კი არა, ანგელოზებად შეიძლება ჩაითვალოს ეს ხელისუფლება. მინიმუმ, უხერხულია "ნაციონალებისგან" მსგავსი განცხადება-ბრალდებების მოსმენა. იმედა გოგავამ და კობა ძიძიგურმა ძალიან კარგად და კორექტულად შეახსენეს მას განვლილი 9 წელი, რომლის დროსაც თავად მამუკა ბიბილეიშვილი ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლეს შტოებში მოღვაწეობდა, ადმინისტრაციული რესურსის ველურად გამოყენება სწორედ მაშინ ხდებოდა".

იმავე სხდომაზე ფრაქცია "რესპუბლიკელების" თავმჯდომარემ კვლავ ითხოვა დარბაზის ყურადღება და საკრებულოს თავმჯდომარეს შეახსენა, წინა შეხვედრაზე მის მიერ შეთავაზებული იდეა, მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურები საკრებულოს მორიგ სხდომას დასწრებოდნენ და ჩვენი ქალაქისთვის აქილევსის ქუსლადქცეული, გარე ვაჭრობის მოწესრიგებაზე ერთად ემსჯელათ: "საკრებულოს წინა სხდომაზე მოვითხოვე, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის მაღალჩინოსნებს დეტალურად განემარტათ, რა ხდებოდა ე. წ. გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ჭანტურიას ქუჩაზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, წლებია, რაც უკანონო ვაჭრობაა გაჩაღებული, ყველა წესისა და ნორმის დარღვევით ხდება შავი ფულის მიმოქცევა, აბსოლუტურად უგულებელყოფილია პროდუქტის შენახვის და ვარგისიანობის ნორმები, ქუჩაში გაშლილი დახლები აფერხებს ტრანსპორტის მოძრაობას. აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე აქტიურად დავიწყეთ მუშაობა, შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზაც და მაშინ როცა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა იყო დარჩენილი, საკითხი გაჩერდა... ხელისუფლებაში ვიღაც "ჭკუისკოლოფმა" ყველაფერი ეს მოახლოებულ არჩევნებს დაუკავშირა და "ხალხზე ზრუნვა" იმით გამოხატა, რომ მოერიდა გარემოვაჭრეების განაწყენებას, ამ დროს ყველას ავიწყდება, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის აღნიშნულ ბაზრობაზე ნაყიდი ხორცის და რძის პროდუქტი უდიდესი რისკის შემცველია, რომ ეს ე. წ. ბაზრობა ვირუსების, ბაქტერიებისა და ყოველგვარი დაავადების ბუდე და გადამტანია, არავინ არის პასუხისმგებელი იმაზეც, რომ გადატვირთულ ქუჩაზე რამდენიმე დღის წინ მანქანა დაეჯახა ასაკოვან ქალბატონს, რომლის გადარჩენა ვერ მოხერხდა. კიდევ რა უნდა მოხდეს, კიდევ რამდენი ადამიანი უნდა დაიღუპოს ან მოიწამლოს, რომ ხელისუფლებამ ყურები გამოიფხიკოს, თვალები გაახილოს და პრობლემის გადასაჭრელად რეალური ქმედებები დაიწყოს?! ყველა, ვინც კი აფერხებს ამ პრობლემის მოგვარებას, ყველა, ვინც კი ამ საკითხს პოლიტიკური კონიუქტურის ჩარჩოში განიხილავს, ყველა, ვინც კი თავისი გულგრილობით ხელს უწყობს ამ საკითხის გადადებას, ვთვლი, რომ თანამონაწილეა ამ უბედურების. მე, იმედა გოგავა, ვეკითხები ამ ადამიანებს, რას იზამდით, რომ ის მანქანა თვენი ოჯახის წევრს დატაკებოდა, რას იზამთ, თუ იქ ნაყიდი პროდუქტით თქვენი ახლობლები მოიწამლებიან, მხოლოდ მაშინ გამოიფხეკთ ყურებს, მხოლოდ მაშინ აგეწვებათ მუცელი და მხოლოდ მაშინ იმოქმედებთ? ეს საკითხი დამოკლეს მახვილივით კისერზე ედო წინა ხელისუფლებას და ეს პრობლემა უდგას დღევანდელ ხელისუფლებასაც, რომელიც უახლოეს პერიოდში თუ ვერ შეძლებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, თანამონაწილე გახდება ამ პროცესის და შესაბამისად პასუხისმგებლობასაც ვერსად გაექცევა"...

## ვართ კი დაცულები?

ლევან გაბეჩავა

მქონდა პატივი, წლების მანძილზე, როცა პედაგოგად ვმუშაობდი, ახალგაზრდებისათვის მესწავლებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის პრინციპები, მოთხოვნები, ვალდებულებები...

გული ნამდვილად მწყდება იმის გამო, რომ საქართველოში, სადაც ადამიანურ ღირებულებებს პატივს გაეროს შექმნამდე და ხსენებულ დეკლარაციამდე გაცილებით ადრე სცემდნენ, დღეს, 21-ე საუკუნეში არ უნდა იყოს განსჯის საგანი, არის თუ არა დაცული ადამიანის უფლებები. ამაზრზენია უფლებადარღვევის თითოეული ფაქტი.

**და მაინც, რატომ გავამახვილეთ ყურადღება ამ საკითხზე ამჯერად?**

ბოლო დღეებია, მედია ხმამაღლა, დაუსრულებლად საუბრობს ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლისა და შესაბამისად, თანამდებობების პირველი პირის, პრეზიდენტის ოჯახის წევრის (სიძის) უკანონო თუ კანონიერი ჩხრეკის მართებულება-არამართებულებაზე, ასევე იმაზე, ხორციელდება თუ არა ზეწოლა მოსამართლეებზე და ა. შ.

გვაინტერესებს, ინტრიგაა, რომ ვიკითხოთ, ქვეყანაში, თუ პრეზიდენტის ოჯახის წევრების უფლებები ირღვევა და ქვეყანაში, სადაც საუბარია მოსამართლეებზე ზეწოლაზე, რიგითმა ადამიანებმა თავი როგორ, რანაირად უნდა ვიგრძნოთ დაცულად?

არაფერს ვამბობთ ქვეყანაში მომხდარ მკვლელობებზე და ა. შ.

ამას წინათ "სავარდო და სამაისო ქუთაისში" პრემიერმა იმერეთის ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში

უფასო პოლიტიკური რეკლამა

# ''მე არ ვიცვლი პრინციპებს და შეხედულებებს''

ნინო ნანიტაშვილი

პირველ აგვისტოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია ''რესპუბლიკელების'' თავმჯდომარემ იმედა გოგავამ საატესტაციო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ცვლილებასთან დაკავშირებით საკმაოდ ხმაურიანი განცხადება გააკეთა, რითაც იგი მუნიციპალიტეტის საკრებულოში კოლეგებს მიმართავდა.

განცხადება, ცოტაოდენი მოგვიანებით ''რესპუბლიკელების'' ლიდერმა საკუთარ F-გვერდზე გამოაქვეყნა, რასაც საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი კომენტარები მოჰყვა. უმეტესობა იმედა გოგავას მხარს უჭერდა და მოუწოდებდა, პოლიტიკურ ბრძოლაში კვლავაც შეუპოვარი ყოფილიყო. ნაწილი კი ''რესპუბლიკელების'' კრიტიკას უსაფუძვლოს უწოდებდა.

იმედა გოგავა ამ დღეებში ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქციაში მოვიდა და გამოთქვა სურვილი, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისთვის კიდევ ერთხელ განემარტა მისი პოლიტიკურად გააქტიურების მიზეზი:

''მინდა საკრებულოს წევრებს გაგახსენოთ ფრაქცია ''რესპუბლიკელები''-ს ორი წლის წინანდელი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, მე ახლა ხელთ მაქვს იმ ოქმის ამონაწერი, რომელშიც იხილებოდა საკითხი და შემიძლია სიტყვასიტყვით წაგიკითხოთ ჩვენი მაშინდელი პოზიცია: _ ''საატესტაციო კონკურსებთან დაკავშირებით ფრაქციას აქვს მკვეთრად გამოხატული პოზიცია, რომელიც ითვალისწინებს ამ კონკურსის მაქსიმალურად ღიად და გამჭვირვალედ ჩატარებას. ეს ეხება როგორც კომისიის შემადგენლობას, ასევე, მისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას. ''რესპუბლიკელები'' ვთვლით, რომ ასეთ შემთხვევაში ნებისმიერ აპლიკანტს ექნება სამართლიანობის განცდა და საერთო ჯამში პროცესი წარიმართება ჯანსაღად, შედეგად კი ყველაზე კვალიფიციური კადრები მოხვდებიან საჯარო სამსახურში''.

როგორც ხედავთ, ჩვენი მაშინდელი პოზიცია არ იქნა გათვალისწინებული, შედეგად მივიღეთ ის, რომ უზენაესმა სასამართლომ კომისიას სამუშაო პროცესის გამჭვირვალობა დაუწუნა და ზოგადად მისი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა''.

იმედა გოგავამ სხდომაზე მყოფ მუნიციპალიტეტის გამგებელს _ ვალერიანე ფოცხვერიას გააცნო ფრაქცია ''რესპუბლიკელები''-ს 2015 წლის 16 ივლისით დათარიღებული ოფიციალური წერილი, რომელიც ეხებოდა მისი, როგორც გამგებლის ვალდებულებას, წელიწადში ერთხელ საანგარიშო გამოსვლით წარმდგარიყო საკრებულოს წინაშე. ადგილობრივი რესპუბლიკელების ლიდერმა აღნიშნა, რომ ამ წერილის რეგისტრაციიდან გასულია კიდევ ერთი წელი, თუმცა გამგებელი მაინც არ მოსულა საკრებულოში თავისი ანგარიშით, ეს კი არა მარტო რეგლამენტის დარღვევაა, არამედ უპასუხისმგებლობაც საკრებულოს წინაშე, თანაქალაქელების, სამტრედიელების წინაშე და თუ გამგებელი გააგრძელებს გაბუტვას საკუთარ მოსახლეობასთან, არ ჩააბარებს მათ ანგარიშს, არ ისაუბრებს, რა გაკეთდა გასული ორი წლის განმავლობაში და რა გეგმები აქვს უახლოესი ერთი წლის მანძილზე, ''რესპუბლიკელები'' იძულებული გავხდებით, გამოვიყენოთ კანონით გათვალისწინებული პეტიციის შესაძლებლობა და ჩვენ თანაქალაქელებთან ერთად დავიწყოთ ამ ფორმით გათვალისწინებული პროცედურების ჩატარება. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს არ არის ჩვენი ფრაქციის ან დეპუტატთა გარკვეული ჯგუფის ახირება, არამედ ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის ბ (ა) პუნქტის მოთხოვნა, სადაც თეთრზე შავით გვიწერია, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელი წელიწადში ერთხელ მაინც მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით ვალდებულია, საკრებულოს წარუდგინოს, ასევე, რიგგარეშე ანგარიში. წინასაარჩევნოდ ძალიან ცუდი სიმპტომები იკვეთება, კერძოდ ''ქართული ოცნება'', როგორც ჩანს საბოლოოდ დაადგა ''ნაციონალების'' მიერ კარგად გაკვალულ გზას, ეს გამოიხატება სახელისუფლო რესურსის მაქსიმალურად და რაც მთავარია უკანონოდ გამოყენებაში, ე. წ. სხვაგვარად მოაზროვნეების შევიწროებაში, კოალიციაში შემავალი პარტიის წარმომადგენლებისთვის ''მეგობრული'' რჩევების მიცემაში, რომ დატოვონ პარტია და შეუერთდნენ ''ქართულ ოცნებას'', წინააღმდეგ შემთხვევაში დაემშვიდობებიან სამსახურს. დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მინდა, შევახსენო, თუ როგორი ფატალური შედეგით დასრულდა მსგავსი მცდელობები წინა ხელისუფლებისთვის და ნუთუ ვერ ხვდებიან თუ როგორი სწრაფი ტემპებით ემსგავსებიან ''ნაცმოძრაობას''. ერთპარტიულობა, საითკენაც კოსმიური სიჩქარით მიექანება ''ქართული ოცნება'', ჩანასახშივე სპობს პოლიტიკურ პლურალიზმს, აზრთა სხვადასხვაობას, დემოკრატიულ პრინციპებს და გზას უხსნის არაკომპეტენტურობას, ნეპოტიზმს, ავტორიტარიზმს და პირველი, უტყუარი ნაბიჯია პოლიტიკურ ხარაკირამდე. ჩვენ ''რესპუბლიკელები'' და პირადად მე _ იმედა გოგავა, მაშინ ვიყავი ყველა ამ პრინციპების დამცველი და ''ნაციონალური'' რეჟიმის წინააღმდეგ ხმაამოღებული მებრძოლი, როცა ძალიან, ძალიან ბევრი ჩურჩულით საუბარსაც ერიდებოდა, 2001 წლიდან, სამტრედიაში, არ ყოფილა არცერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, რომ ჩემი ინტერესის სფეროში არ მოხვედრილიყო, მასზე ჩემი აზრი საჯაროდ არ დამეფიქსირებინა, ჩემი ქვეყნის, ჩემი ქალაქის ინტერესების საზიანოდ არასდროს გავჩუმებულვარ, არასდროს წავსულვარ არანაირ კომპრომისზე, არავითარ კონიუქტურას არ დავმორჩილებივარ და ასე ვარ ახლაც, ასე ვაპირებ მომავალშიც გაგრძელებას. კოალიციაში ყოფნის პერიოდშიც ბევრჯერ დამიფიქსირებია გუნდისგან განსხვავებული პოზიცია, ბევრჯერ წავსულვარ მიღებული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, ბევრჯერ ცხარედ მიკამათია თანაგუნდელებთან, ახლაც ვთვლი, რომ მართალი ვიყავი, როცა ერთადერთი ადამიანი ვიყავი, რომელიც ხმამაღლა ვაპროტესტებდი რაიონის ძალიან მწირი ბიუჯეტიდან, საერთო ჯამში თითქმის სამი მილიონი ლარის საფეხბურთო გუნდისთვის გადარიცხვას, მათთვის მხოლოდ ხელფასის სახით ათეულ ათასობით ლარის დანიშვნას მაშინ, როცა კატასტროფული სიტუაცია გვაქვს კულტურაში. სოფილურ სფეროში, ინფრასტრუქტურაში, განათლებაში, ბაგა-ბაღებში და თითქმის ყველა სხვა დანარჩენ სფეროში. არ მომწონდა და ხმამაღლა ვაპროტესტებდი ე.წ. ''ოდეერების'' სამსახურის შექმნას და მათთვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭებას, ბიუჯეტის შედგენას და მასში გაწერილ პრიორიტეტებს. 2012 წლის არჩევნების შემდეგ, სამტრედიაში, არც ერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი რომ არ განხორციელებულა, ნეტავ ვის უნდა დაბრალდეს?! რატომ არის დღესაც სამტრედია სარკინიგზო ჩიხი და რატომ ვერ მოხერხდა საარჩევნო დაპირების შესრულება, რომ ქალაქი დაიბრუნებდა სარკინიგზო კვანძის სტატუსს?! იქნებ შემახსენოთ, რამდენი იაფფასიანი სესხი გაიცა მოქალაქეებზე და ამ სიკეთით რამდენი სამტრედიელია დღეს დასაქმებული?! რატომ დაასამარეს თვითმმართველობა და რატომ გახდა ის დღეს ფიქცია?! რატომ ეშინია ''ოცნებას'' ხელისუფლების დაყოფის და რატომ ცდილობს არჩევნების ''სუსით'' და ''კუდით'' ჩატარებას?! საიდან მოჰყავთ შევარდნაძის დროინდელი ჩინოვნიკები და რატომ ეძებენ ფულიან ბიძიებს წინასაარჩევნოდ?! მე არ ვიცვლი პრინციპებს და შეხედულებებს, ჩემთვის სახელმწიფოებრივი აზროვნება და ქვეყნის ინტერესები ყველაზე მაღლა დგას, მაგრამ მე ვეკითხები ჩემ ძველ თანამებრძოლეებს, თქვენ რატომ გაქვთ პირში წყალი ჩაგუბებული, ნუთუ მართლა მოგეწონათ ის, რასაც წლების წინ თავად ებრძოდით?! ნუთუ ასე ტკბილია ეს მოყანყალებული სავარძლები?! ნუთუ ამად ღირს ის ხელფასი, რასაც იღებთ?! ნუთუ მხოლოდ ამისთვის იბრძოდით?! სამაგიეროდ მე და ჩემმა თანამებრძოლებმა კარგად ვიცით, რა არის ყველაზე მთავარი და ღირებული, სასწორზე ჩვენი ქვეყნის მომავალი დევს, სასწორზე ჩვენი მშობლიური ქალაქის ხვალინდელი დღეა. ხვალინდელი დღე კი დღეს იქმნება, ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ, ერთად უნდა მოვიყვანოთ ხვალინდელი დღე.



ამისთვის კი ერთიანობა, ხელების დაკაპიწება და პრინციპების ერთგულებაა საჭირო, ვერავინ უნდა შეძლოს ჩვენი გაჩუმება, არავის მივცემთ ჩვენი ყიდვის, მოქრთამვის, დაშინების უფლებას, ხვალინდელი დღე პატრიოტ და ერთგულ ადამიანებს ეკუთვნით, ის ჩვენ გვეკუთვნის, ის ჩვენი შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის იქმნება და ყველამ უნდა დავდოთ ამ საქმეში თითო აგური... ჩემო საყვარელო და ძვირფასო სამტრედიელებო, თქვენ ხართ ამ ქალაქის მთავარი და უპირობო პატრონები, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, ამ ქალაქს შესძინოთ, ახალი ფუნქცია, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამ ქალაქის ამეტყველება... სამტრედია _ ეს ჩვენი ქალაქია, ჩემი და თქვენი ქალაქი...''

# არ ირღვევა ჩვენი უფლებები?

მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა.

ზღვა ხალხი ესწრებოდა ამ პროცესს, თუმცა იმდენი ხალხი მივიდა, რომ მათ დიდ უმრავლესობას არც კი გაუგონია რა ხდებოდა ცენტრალურ მოედანზე?! თანამედროვე კომუნიკაციის პირობებში არავინ იზრუნა იმისათვის, რომ მოედანი სრულად ყოფილიყო გახმოვანებული?!

ხომ არ არის ეს ადამიანის უფლებების მსუბუქი, უნებლიე, გაუთვალისწინებელი დარღვევა? რა ფუნქცია შეასრულა იქ მისულმა ხალხმა?

მართალია, არათუ საბედნიეროდ, სამწუხაროდ, ამ წერილის ავტორს ძროხა არ მყავს, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ და ბევრმა თავში ხელი შემოირტყა: ქუთაისში 6 საათზე რომ წავალთ, იქედან რომ გვიან ჩამოვალთ, მერე (ყველა რაიონულ ცენტრში ხომ არ ცხოვრობს?) ჩვენს სოფლებში რომ ჩავალთ, ძროხას, ფრინველებს როდის მივხედავთო?

იქნებ სასაცილოდ ეჩვენოს ვინმეს, მაგრამ სულაც არაა სასაცილო. გავითვალისწინოთ დღევანდელი ვითარება.

ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ, საქართველოში კი, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ბინადრობს, თუ ცხოველს, ფრინველს არ მიხედეს, რა ჰქნან?

ასე რომ, მსგავსი პროცედურების დროს მსგავსი საკითხების გათვალისწინებაც აუცილებელია, მით უფრო, რომ ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებს არაერთხელ განუცხადებიათ: ჩვენ ხალხის სამსახურში ვართო და ასეცაა.

ცალმხრივობა რომ არ დაგვწამონ, იმასაც ვიტყვით, რომ მსგავსი პრობლემა არ შექმნილა, როცა პრემიერმა, ვიცე-პრემიერმა და სხვა ცნობილმა სახეებმა სამტრედიელებს სამტრედიაში წარუდგინეს მაჟორიტარობის კანდიდატი, ბატონი გია მიქელაძე.

დაბოლოს, ასეთ და მსგავს საკითხებში უნდა იქნას დაცული ადამიანის უფლებები, თუ არა, საბედნიეროდ, საზღვრისპირა (რუსეთის) სოფლების გარდა სადაც ადამიანთა გატაცების ფაქტები ფიქსირდება, ჯერჯერობით არც ლეკიანობა გვაწუხებს და არც ყიზილბაშ-მონღოლები გვესხმიან თავს.

უთუოდ მიხვდება მკითხველიც და მიმხვედრიც რას ვგულისხმობთ წერილის თითოეულ წინადადებაში.



# 08. 08. 08.

თეა ბაბუნაშვილი

**... და კიდევ 8! უკვე 8 წელი იმ 8 აგვისტოს შემდეგ, 2008 წლიდან მოყოლებული ქართული ტკივილი ფესვებიდან თანამედროვეობამდე რომ განაახლა. დრო დროს ცვლის პოლიტიკურად, სოციალურად "ნაიარევს", აზრი, შეხედულება და გემოვნება ქარის ყოველი წამობერვასავით მისდევს და იკარგება მის ლაბირინთებში. ქართული ხასიათის ყველა ღირსება და ნაკლოვანება ანარეკლად ისახება ქართველობის სარკეში, მოყვრად მოსული მტერის და მტრად ქცეული მოყვარეც გაფაციცებით რომ იხედება, ძირითადად, მაინც საკუთარი ინტერესების სახეიროდ.**

ქვეყანა, რომლის ტერიტორიის 20 პროცენტი ანექსირებულია, გმირული სულისკვეთებით ცნობილი გახლდათ ყველა დროის ანგარიშგასაწევი სახელმწიფოსთვის. რამდენად შეინარჩუნა მან ეს სტატუსი, მისდამი დამოკიდებულებას აშკარად ეტყობა დღევანდელობაში. საქართველოში თუ გუშინ საკუთარი მიწის დაცვად აღიქმებოდა სისხლიანი აგვისტოს ცხელი დღეები, დღეს იგი ნიმუშად მიიჩნევა იმისა, თუ როგორ არ უნდა მოექცეს ხელისუფლება საკუთარ ქვეყანასა და ხალხს. თუმცა, დაღუპულების გმირულ სულისკვეთებაზე არავინ დავობს 2012 წლის არჩევნების იქეთა და აქეთა ხელისუფლებაში.

შინმოუსვლელის მემორიალი, სამტრედიაში დედის ძეგლად ცნობილი ტერიტორია, ამჯერად რესტავრირებული მასპინძლობდა ღონისძიებას, წელსაც წინა წლების დარად, თავშეყრილი საზოგადოების სიმცირით რომ აღნიშნავდა აგვისტოს ომის 8 წლისთავს. თავშეყრილების აბსოლუტური უმრავლესობა საჯარო მოხელეები გახლდნენ ადგილობრივი გამგეობიდან და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან.



8 წლის წინ კი, ტყვია, მამულისთვის მიზანში მოსახვედრი, გულში მოხვდა არაერთს, რადგან რაც არ უნდა შეცვალოს დრომ, ქართველის ცნობიერებაში ვერ შეცვლის "თავისუფლება ლომთა ხვედრია!" და რადგან "თეთრი რაში არ დაიდგამს უნაგირს", 2008 წლის აგვისტოში რუსული ინტერვენციის შედეგად საქართველოში 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 14 პოლიციელი დაიღუპა, დაიჭრა 1747 ადამიანი, 150 ათასი იძულებული გახდა საკუთარი სახლი მიეტოვებია, აქედან 30 ათასამდე დღემდე დევნილობაში ცხოვრობს.

მემორიალთან გულწრფელ ნამღერს გულწრფელი რითმა მოსდევდა. კიდევ ერთხელ მოიგონეს ისინი, ღიმილის ბიჭებად დარჩენილები, მამულს რომ უანდერძეს საკუთარი ახალგაზრდა სიცოცხლე. ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების მიერ მოწყობილი სანახაობის ორგანიზატორი კულტურის სამსახური გახლდათ. საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ მიმართა. რაც შეეხება თავად მემორიალს, მას ინდმეწარმე მაია აბურჯანიძის სამშენებლო ორგანიზაციის მიერ 21 ათასი ლარიანი სატენდერო ღირებულების შესაბამისი რესტავრაცია ჩაუტარდა, მოპირკეთდა შავი, თეთრი და წითელი მარმარილოთი. სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა ბევრ გვარ-სახელს იტევს იგი, მემორიალზე ამოტვიფრულს. მეორე მსოფლიო ომის, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, საქართველოს ერთიანობისთვის, 9 აპრილს დაღუპულთა სახელებს უკვდავყოფს.

ისე როგორც გასულ წელს, ამჯერადაც ცალ-ცალკე აღნიშნეს 8 აგვისტო ამჟამინდელი და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. მის დანიშნულებაზე ისინი სხვადასხვა ინტერპრეტაციებით საუბრობდნენ, თუმცა





ამ დღის ღირებულება ორივე მხარისთვის ერთნაირი გახლდათ! ეს საბედნიეროდ!

რომ ერთი პირი ჰქონდეთ, დიახ, უძლეველი იქნებოდა, მაგრამ ქართული ბუნების საუკეთესო მაგალითი, მეფე გიორგის მიერ სიკვდილის წინ ნათქვამი "აღსარება" ჩვენი ერის ხასიათის სარკეა! ამ სიტყვების გახსენებამდე, ყველა ქართველმა ზედმიწევნით კარგად რომ იცის, 08. 08. 08, 8 წლის წინანდელი ქართული გმირობის, სამშობლოსადმი თავგანწირვის კიდევ ერთ მაგალითს გვახსენებს შინდისსა და მუხათგვერდის სასაფლაოზე მოწრიალე სიჩუმით და სისხლისფერი ყაყაჩოებით, იმ დღეების სიმბოლოდ რომ იქცა.

# რაც არასდროს დაავიწყდება, შინდისია

ქეთევან ჭელიძე

***რედაქციაში 2008 წლის ომზე სასაუბროდ მოვიწვიეთ. აღმოჩნდა, რომ მის ბიოგრაფიაში კიდევ ყოფილა რამდენიმე ომი: სამაჩაბლოს, აფხაზეთისა და სამოქალაქო; იყო 9 აპრილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. "თუ საჭირო იქნება, საქართველოსთვის კიდევ ვიქნები ჯარისკაცი". _ გვარწმუნებს გია მესხი. სამაგიეროდ არაფერს ითხოვს ამ სიყვარულისთვის. დღეს ასეთი ადამიანები აქა-იქ გამობრწყინდებიან ხოლმე და იმედით გავსებენ, გახსენებენ, რომ სამშობლოს სიყვარული მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლასა და შრომაშია და არა ორგულობასა და ერთმანეთის მტრობაში.***

სამტრედიის მესამე საშუალო სკოლა დაამთავრა გია მესხმა. მერე ქუთაისის ავტოტექნიკუმში სწავლობდა. 9 აპრილმა მის ცხოვრებაშიც ბევრი რამ შეცვალა. თბილისში, დასთან სტუმრად ჩასულს გულმა მომიტინგეებისკენ გაუწია. მას შემდეგ ოპოზიციაში ედგა ხელისუფლებას და დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის თავს არ ზოგავდა. წინააღმდეგი იყო სამხედრო-სავალდებულო სამსახური რუსეთში გაევლო, გაიფიცა და რამდენიმე ადამიანთან ერთად ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის სახლის კართან დაჯდა. მოთხოვნა რომ დაუკმაყოფილეს, მერე საერთოდ თქვა უარი, საბჭოთა კავშირის ჯარში ემსახურა.

9 აპრილმა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მეგობრები შესძინა. მას შემდეგ სულ ერთად იყვნენ. ერთმანეთისთვის არასდროს გვიღალატნიაო, თქვა. "მრგვალი მაგიდის" წევრებთან ერთად მოხალისედ სამაჩაბლოში წავიდა. სოფლების, ნიქოზისა და გუჯაბაურის საზღვარზე იბრძოდა. მაშინაც რუსები იდგნენ იმ საზღვართან. ქვეყნის პირველ პრეზიდენტს ბუნკერშიც ახლდა: "დღემდე მიმაჩნია, რომ მისი გზა სწორი იყო. პატრიოტი კაცი გახლდათ. საუკუნე დასჭირდება, ალბათ, საქართველოში ასეთი კაცი კიდევ რომ მოვიდეს". _ დასძენს იგი. ამბობს, რომ მოღალატეები მრავლად ეხვია პრეზიდენტს, თვით ბუნკერშიც კი. მისი აზრით, ასე რომ არ ყოფილიყო, იქედან გამოსულები, ორად არ გაიყოფოდნენ. მოულოდნელად ჯავშანტრანსპორტიორებით გადაუკეტეს გზა და სროლა აუტეხეს პრეზიდენტის თანმხლებ პირებს. მათ შორის გენერლებიც იყვნენ და პოლიციელებიც. სინანულით იგონებს ცხინვალელ შავ გოგიას, ბრგე ვაჟკაცს, თავისიანებში გავლენით რომ სარგებლობდა. საკუთარ ეზოში მოწეული ვაშლის ფულით ყიდულობდა იგი თურმე ტყვია-წამალს. შუბლში ესროლეს და ადგილზევე მოკლეს. სამტრედიელებმა ტყეს შეაფარეს თავი. იქედან კი მშობლიურ ქალაქში ჩამოაღწიეს.

ადვილი არ არის გია მესხისთვის უსიამოვნო ამბების გახსენება. თუნდაც ის, რომ მხედრიონელებმა ბალნეოლოგიურ კურორტ "სამტრედიაში" ძალით მიიყვანეს.

"კახეთის მხედრიონი ზვიადისტების დასაშინებლად ჩამოიყვანეს. ჩვენს მხარეს გადმოდი და არაფერი მოგაკლდებაო, _ მითხრეს._ უარი ვთქვი, სადაც ვარ, იქ დავრჩები-მეთქი. მაშინ საშინლად მცემეს. ჩემთან ერთად სცემეს ომარ ჯოჯუაც. ავთანდილ ადეიშვილს კი ტვინის შერყევა ჰქონდა მიღებული, იგი პრეფექტის მოადგილე იყო იმ პერიოდში. ძლივს გადავარჩინეთ.

აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, მობილიზება ანაკლიაში მოხდა. იქ წვრთნები



გაიარეს ბრძოლაში ჩასაბმელად. ძირითადად, ტამიშში, ოჩამჩირეში იბრძოდა. 24-ე ბატალიონში გაერთიანდნენ, რომელიც ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს შექმნა თამაზ ესებუამ. ეროვნული მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბევრი წავიდა ბატალიონიდან და სამოქალაქო ცხოვრებას დაუბრუნდა, ბევრიც დარჩა. ბატონი გია პრეფექტის, ზვიად ძიძიგურის მძღოლი იყო. სოხუმის შემდეგ ჩვენი რესპონდენტი ცხენისწყლისპირას ზვიადისტებისა და მხედრიონელების შეტაკებაში მონაწილეობდა. საქართველოში დაბრუნებულ ზვიად გამსახურდიას მხედრიონმა საშუალება არ მისცა, თბილისისკენ განეგრძო გზა. "სამი-ოთხი დღე სამტრედიაში დავყავით. მერე შემოგვიტიეს. გახსოვთ, ალბათ, "სელსტროისთან" ტანკში აფეთქდნენ ჩვენი ბიჭები". _ გაგვახსენა მან. ყოველთვის ფიქრობდა, რაც დაებედა, არ ასცდებოდა, ამიტომ ცდილობდა, თავისი საქმე ბოლომდე ერთგულად ეკეთებინა. უკან მოხედვის არ ეშინია. ეამაყება, რომ კანონიერ პრეზიდენტს იცავდა. არ სჯერა, რომ მან თავი მოიკლა: ისეთი მორწმუნე ადამიანი იყო, ამას არ ჩაიდენდაო.

"ალბათ, ისევ პატრიოტიზმის გამო გადავწყვიტე, ჯარისკაცი ვყოფილიყავი. კონტრაქტით სენაკის მე-2 ქვეით ბრიგადაში დავიწყე სამსახური. 7 აგვისტოს განგაში რომ გამოცხადდა და მობილიზაცია გაკეთდა, ვერ მივხვდით, რაში იყო საქმე. როცა მოედანზე გაგვიყვანეს და მღვდელმა დაგვლოცა, ჩემთვის უკვე გასაგები იყო, რომ რაღაც სერიოზული ხდებოდა". _ გვიყვება 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ კაპრალი გია მესხი.

ქართული შენაერთები გორისკენ გაემართა. სიამოვნებით გვიხასიათებს მაშინდელი ჯარისკაცების განწყობას, თუ როგორი მოტივირებულები და შემართულები იყვნენ. როგორ ამხნევებდნენ ერთმანეთს. თვით გამოუცდელი ბიჭებიც კი უკან დახევას არ აპირებდნენ. ქარელის გადასახვევიდან სოფელ ხეთაგუროვისკენ აიღეს გეზი. სასტიკი ომი იყო. საკმაოდ დაეღუპათ მეომრები. მომდევნო სოფელზე შეტევისთვის რომ ემზადებოდნენ, უკან დახევის ბრძანება მიიღეს. გია მესხი სამეთაურო მანქანას ატარებდა. დაჭრილები გადაჰყავდა საველე ჰოსპიტალში. რამდენჯერმე გორშიც ჩაიყვანა ისინი. ოსეთში უკვე ნაბრძოლები კარგად იცნობდა იმ ადგილებს და ახერხებდა, შედარებით უსაფრთხოდ ემგზავრა. ბევრჯერ სიკვდილსიცოცხლის ზღვარზეც იდგა. უკან დახევისას ჯარისკაცებით სავსე მანქანას ჰაერიდან ცეცხლი რომ გაუხსნეს, თავში ნასროლი ტყვია მისმა ჩაფხუტმა არ გაატარა. ბოლო მანქანა იყო ოსეთიდან რომ გამოდიოდა. ხედავდა, უკან მტრის ტანკები მოჰყვებოდა. პარალელურად საჰაერო დაბომბვა ხორციელდებოდა. ჯარისკაცები პანიკაში ჩავარდნენ. მანქანა სასწრაფოდ დატოვეს და პოზიციები დაიკავეს. ბატონმა გიამ მანქანა მუშა მდგომარეობაში დატოვა. მებრძოლებს დაუძახა, დაჭრილები მანქანაში ჩაესვათ. ოთხი დაჭრილიდან ერთი ოფიცერი იყო. თავისი სიმშვიდე მან სხვებსაც გადასდო, შიში გაუქრათ მებრძოლებს. ქარელის გადასახვევთან სასწრაფო დახმარების მანქანები იყო მობილიზებული. ხმა გავრცელდა, რომ მტერმა დაიკავა სენაკი, აბაშა და თბილისისკენ მოემართებოდა. თუ უნდა ვიბრძოლოთ, ჩემს სამტრედიაში მაინც ვიბრძოლებო, გადაწყვიტა და დასავლეთისკენ გამოემართა. ქუთაისში სამხედრო მანქანით არ შეუშვეს. მტერს არ შეემჩნია და ქალაქი არ დაებომბა. შემოვლითი გზით ჩამოვიდა სამტრედიაში. "რისი დაბომბვაც უნდოდათ, უკვე დაბომბილი იყო. ქუთაისლებმა ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინესო, _ ეღიმება. ყველაზე დიდი ტკივილი, რაც არასდროს დაავიწყდება, შინდისია. მისი ასეულიდან 9 მებრძოლი დაიღუპა იქ.

სათქმელი ბევრი აქვს მეომარს, მაგრამ თავს იკავებს. ჯარს მინდა, პატივი ვცე, რადგან მან ქვეყნის დასაცავად ყველაფერი გააკეთაო. ახლა მშვიდობიანი ცხოვრებით ცხოვრობს ყოფილი ჯარისკაცი. ოთხი ომის მონაწილე ჯარისკაცს კი სამაგიეროდ იმით გადაუხადეს, 22 ლარიანი დახმარება მოუხსნეს. ურჩიეს, საპენსიო ასაკს დაელოდეო.

და მაინც, ერთი წუთით არ ნანობს, რასაც აკეთებდა ქვეყნისთვის. ყოველთვის სჯეროდა, რომ სამართლიან საქმეს ემსახურებოდა. როგორც სწამდა, ისე იცხოვრა. მთავარია, ღვთის წინაშე მართალი ვარო, აცხადებს. არც ქება-დიდებას ითხოვს და არც ის აღიზიანებს, თუ ვინმე არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს წარსულს.

სამტრედიის მაცნე



ქეთევან ძელიძე

# ყველა ტყვიამ გულში გაიარა




იმაზე მსჯელობა, ვინ დაიწყო, ან საერთოდ, უნდა დაგვეწყო თუ არა, არსებითად ვერ გამოდგება იმ ტკივილის შესამსუბუქებლად, 2008 წლის აგვისტოს ომმა დაღუპულთა ოჯახებს და მთელ საქართველოს რომ მოუტანა. კლასიკოს მწერალს თუ დავესესხებით, "სახელმწიფო სათავეში მდგომი ყოველი ადამიანი ვალდებულია, თავიდან აიცილოს ომი", რადგან იგი "ძალზე სერიოზული საქმეა", მხოლოდ იმით შემოვიფარგლებით, რომ ყოველთვის არსებობს დადანაშაულების თუ თავის მართლების საშუალება. ამის მაგალითად კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის _ რუსეთის ასეთი განცხადებაც გამოდგება: "ეს იყო აბსოლუტური აუცილებლობა ჩვენი არმიისთვის, რომ გადაერჩინა ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილი, რათა ის საფრთხე, რომელიც იმ დროს საქართველოს ტერიტორიიდან მოდიოდა, ბოლომდე თუ ვერ მოხსნიდა, შეეჩერებინა მაინც".

რუსეთმა მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ ის ოკუპანტია. ჰააგის ტრიბუნალმა გამოიძია და დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა გენოციდს, ეთნიკურ წმენდას, დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ. დაიდო აგვისტოს ომის დაწყების გარემოებათა დამდგენი საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის დასკვნაც. მასში ნათქვამია, რომ ომის დაწყებას თან უძღვოდა დაძაბულობის ხანგრძლივი პერიოდი. ჩრდილოელი "მეგობარი" ყოველთვის ცდილობდა ჩვენს პროვოცირებას და საქართველოს ომში ჩაბმას.

ასეა დღემდე. რუსები თითქმის სისტემაურად გვართმევენ ტერიტორიებს. ნატოში ჩვენი შესვლის შემთხვევაში კი იარაღითაც გვემუქრებიან. რადგან სიძნელეებზე მხოლოდ პესიმისტები საუბრობენ, იმედი დავიტოვოთ, ადრე თუ გვიან მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზებსაც ვიპოვით.

რაც გვჭირს, ჩვენით გვჭირსო, ყურს ჭრის ერთ-ერთი ჩემი რესპონდენტის ნათქვამი. ისიც დასძინა, თუ რამემ მაშინ გადაგვარჩინა, კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებით იმ დღეებში საქართველოს ყველა ტაძარში აღვლენილი ლოცვა იყო.

ჯერჯერობით ფაქტი 2008 წლის 8 აგვისტოა, უდანაშაულო მსხვერპლის სისხლით ერთხელ კიდევ გაჯერებული ქართული მიწა, დაკარგული აფხაზეთი და ოსეთი, ომში გმირულად დაღუპულთა გასახსენებლად და პატივსაგებად 8 აგვისტოს მცხუნვარე მზის ქვეშ შეკრებილი სამტრედიელები.

გთავაზობთ კომენტარებს, რომლებიც მათ "სამტრედიის მაცნესთან" გააკეთეს.

**კობა ძიძიგური, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:** "საქართველოს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ესეოდა მოხლვავებული მტერი, ჰყავდა თავდადებული ადამიანებიც, გმირები, რომლებიც მამულისთვის სწირავდნენ თავს. დარწმუნებული ვარ, ყოველთვის იქნება ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც ქვეყნისთვის თავის დადება არ გაუჭირდება. ასე იყო 2008 წელსაც, რა თქმა უნდა, არ იყო სასურველი ომი დაწყებულიყო, გარკვეულწილად ეს, ალბათ, ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგი გახლდათ. ერთი ხელის მოსმით უნდოდათ იმ კუთხეში შემოებრუნებინათ პოლიტიკური ვითარება და ჩვენი იურისდიქცია დაემყარებინათ, მაგრამ კარგად ვიცით, იმ პატარა კუთხის, იმ აფხაზეთის, სამაჩაბლოს უკან რუსეთი დგას. ესაა ჩვენი პრობლემა, თორემ სამაჩაბლოს დამორჩილებას რა უნდა. მართალია, პროვოკაციები იმათი მხრიდან მოდიოდა, მაგრამ ეს ახალი არ იყო, წლების განმავლობაში ასე გრძელდება. მეც ვარ მონაწილე 1991 წლის დასაწყისის სამაჩაბლოს ბრძოლების. ვიცი, როგორი პროვოკაციები იყო, როგორ აწიოკებდნენ ქართულ სოფლებს, ხალხს იტაცებდნენ, ასახიჩრებდნენ და ა. შ. როგორ უნდა მოეხერხებინა ხელისუფლებას ამის აცილება თავიდან, მასშტაბური ოპერაცია არ წამოეწყო. მაგრამ მოხდა პირიქით, სავალალო შედეგი დადგა საქართველოსთვის. ომში ჩაერთო რუსეთის შეიარაღებული ძალები. მათ შეტევა განახორციელეს არა მარტო სამაჩაბლოზე, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებზეც. დაიკარგა კოდორის ხეობა. სამწუხაროდ, დამატებით დაიკარგა 150 სოფელიც. იმატა დევნილთა რაოდენობამ. გვყავს დაღუპული ადამიანები, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლე და ჯარისკაცი. მართალია, დიდი პრობლემა იყო საქართველოსთვის 2008 წლის ომი, მაგრამ ვაჟკაცებმა თავი დადეს სამშობლოსთვის. მახსენდება სახარებისეული სიტყვები: "სასუფეველი ცათა იიძულების". სასუფეველს მხოლოდ ის ადამიანი მოიპოვებს, ვინც იბრძოლებს, თავს გასწირავს ქვეყნისა და ღმერთისათვის. ისინი, ვინც ამ ბრძოლებში დაიღუპნენ, სასუფეველი მოიპოვეს, ღმერთის გვერდით დაიმკვიდრეს ადგილი. ეს კი, ფაქტობრივად, მთელი კაცობრიობის მოვალეობა და მიზანია. სამტრედიაში 4 ადამიანი დაგვეღუპა. ჩვენთვის ისინი საამაყონი არიან. მათ ვაჟკაცურად იბრძოლეს ქვეყნის ინტერესებისთვის. არ არის მათი ბრალი, რომ ომი გამარჯვებით არ დასრულდა. მათი ბრძოლა და მათი შემართება დასრულდა გამარჯვებით".

**ემზარ შუბლაძე _ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:** "ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა იმ კუთხით, რომ ქართული მოსახლეობის ინტენსიური დაბომბვა მიმდინარეობდა, რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა, დაიღუპა, მოსახლეობა სახლებს ტოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ მოწინააღმდეგეს ცეცხლის შეწყვეტა შესთავაზა, მათი პირდაპირი პასუხი იყო ასეთი: ვერ ვაკონტროლებთ ოსებს. მერე იყო ის შეჩერების ოპერაცია, სხვანაირად არ შეიძლებოდა. მახსოვს, მაშინდელი ჩვენი ოპონენტები, ახლა რომ ხელისუფლებაში იმყოფებიან, გაიძახოდნენ, რად უნდათ ჯარი, იარაღი, ამდენი ტექნიკა, თუ მოსახლეობა არის დაუცველი. დააბრალეს, რომ ომი ხელისუფლებამ დაიწყო. რაც არ უნდა ვისაუბროთ ამაზე, თვითონ პუტინმა თქვა, რომ 2006 წლიდან იგეგმებოდა საქართველოში ის, რაც 2008 წლის ზაფხულში განხორციელდა. ჩვენ რა, რუსეთის ტერიტორიაზე გადავედით? ჩვენ ვიცავდით ჩვენს ტერიტორიას და მოსახლეობას. არც ერთ ნორმალურ სახელმწიფოში, და არც ერთი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი არ იტყვის, რომ ომი ქვეყნის პრეზიდენტმა დაიწყო, რაგინდ ოპოზიციურად განწყობილი არ უნდა იყოს იგი. ეს არის ჩვენი დაბალი დონე. ტერიტორიები ჩვენ ისედაც წართმეული გვქონდა. უბრალოდ, 2008 წლის შემდეგ ბუფერული ზონა გაიკეთა მოწინააღმდეგემ. შედეგად ოკუპანტის სახელი დაირქვა. ცდილობს, ეს სახელი შეიცვალოს, მაგრამ ეს არ მოხდება, ვიდრე საქართველოს არ დატოვებს. ამ ომის მიღწევა (თუ შეიძლება ასე ითქვას) ის არის, რომ მთელი მსოფლიო დარწმუნდა, რუსი არ ყოფილა მშიდობისმყოფელი.

რაც შეეხება დღევანდელ ტენდენციას, ქვეყანაში დიდი პრორუსული პროპაგანდა მიდის, რაც ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველია. დღეს რომ ადამიანი რუსეთისკენ იხედება, ის ან ღრმად გაუნათლებელია, ან არის ქვეყნის მტერი, მით უფრო, თუ განათლებულია იგი. განათლებულს ვერ დავარქმევ კაცს, თუ მას ჩვენი ქვეყნის ისტორია არ ახსოვს. ერეკლე მეფე მოჰყავთ მაგალითად. მას რომ სცოდნოდა, რუსეთი ამას გაუკეთებდა საქართველოს, მეორედ იმ ნაბიჯს არ გადადგამდა. გეოპოლიტიკური მდგომარეობა იყო მაშინ ისეთი, მეფეს სხვა შანსი არ ჰქონდა. თანაც რუსი არ ჰყავდა გამოცდილი, როგორც პარტნიორი. შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ რუსებმა გადამწყვეტ მომენტში მიგვატოვეს, ავტოკეფალია წაგვართვეს, ეგზარხოსები შემოგვისიეს, რომლებიც საშინელებებს აკეთებდნენ. თელავის ცნობილი აჯანყება დაიწყო იმიტომ, რომ ერთ-ერთ ოჯახში ეპისკოპოსის დავალებით შევიდნენ სამხედროები, გააუპატიურეს ფეხმძიმე ქალი და მერე ღვინო ჩაასხეს საშოში. იგი გარდაიცვალა. ამ სიმწარემ ფეხზე დააყენა სოფელი. ეს ხომ ისტორიული ფაქტია.

2008 წლის 8 აგვისტოს ჩვენს ტერიტორიაზე ჩვენს ხალხს ვიცავდით, ამაში ცუდი რა არის. არ ვამბობ, რომ რუსი ხალხი ჩვენი მტერია. რუსულ პოლიტიკას კი 1783 წლიდან _ გეორგიევსკის ტრაქტატიდან ჩვენთვის სიგლახის მეტი არაფერი მოუტანია. იმის თქმა, რომ გადაშენებული ვიქნებოდით და რუსეთმა გადაგვარჩინა, არასწორია. ჩვენ ჩვენმა გამძლეობამ, ქართულმა სულმა, უფლის მადლმა და ღვთისმშობლის კალთამ დაგვიფარა. ასე რომ, ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია, გავარჩიოთ, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე.

ხმამაღლა ვიტყვი: პირველი პრორუსი და რუსეთის პროპაგანდისტი ვიქნები, თუ აფხაზეთსა და ოსეთს დაუბრუნებს იგი ჩვენს ქვეყანას. ქართველობას გვართმევენო, ამბობენ, გარყვნილება ევროპიდან და ამერიკიდან მოდისო, თუ სადმე გარყვნილებაა, რუსეთშია სწორედ. ჩვენ ჩვენი ტრადიცია უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ უნდა განვვითარდეთ და წინ წავიდეთ. რუსეთთან არ არის ჩვენი გადარჩენის გზა. მას მონებად ვუნდივართ. ვის უნდა დავემონოთ, ჩვენთან რომ "ვეფხისტყაოსანი" დაიწერა, "შუშანიკის წამება" და გრიგოლ ხანძთელი მოღვაწეობდა, რუსები მაშინ ტყეში შიშველი დარბოდნენ. ნატო და ევროკავშირის გზა აერჩია ჩვენს ქვეყანას, სწორედ რუსეთმა აიძულა, რადგან თავს დაცულად ვერ გრძნობს. რუსეთი არის მხარე, აქ აფხაზი და ოსი არაფერ შუაშია. ომი დაიწყო იმიტომ, რომ თამარაშენი კულტურულ ცენტრად აქცია ჩვენმა ხელისუფლებამ. იქ გასართობი ცენტრები, ახალი სავაჭრო ობიექტები და მშენებლობები გამართა. ოსები ცხინვალიდან თამარაშენში ჩამოდიოდნენ გასართობად. ორ ხალხს შორის მჭიდრო ურთიერთობა ყალიბდებოდა. ამით რუსეთმა სერიოზული საფრთხე დაინახა და დაგეგმა ახალი განხეთქილება. ჩვენ შანსი და უფლება არ გვქონდა, აგრესიაზე პასუხი არ გაგვეცა. როცა ამბობენ, ეს ომი იყო ვილაცის გამოგონილი, ამით შეურაცხყოფას აყენებენ ომში დაღუპულ ჯარისკაცებს". **ლევან ბუაძე _ "ახალი მემარჯვენეების" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:** "მძიმეა ჩემთვის 8 აგვისტო, ამ ომში დაიღუპა ჩემი დეიდაშვილისშვილი, მიხეილ დვალიშვილი, ვანის რაიონის სოფელ მუქეთიდან. მე და მამამისს ერთ ბალიშზე გვაძინებდა დეიდა. პატარაობისას ხშირად ისიც ჩემს უბეში მყავდა. შინდისის გმირებშიც ერთი ჩემი მოსწავლე იყო, ლევან მელქაძე. 2008 წელს ჩემს ეზოში იმ სიმღერას ვღიღინებდი, ლევანს რომ შევასრულებინე დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმში, როგორც "მხიარულთა და საზრიანთა" კლუბის წევრს. რუსულ ენაზე იმღერა "იღბლიანი ჯენტლმენების" ცნობილი სიმღერის გადაკეთებული ვარიანტი. მაშინ გავიფიქრე, ლევანს არასოდეს დაავიწყდება სცენაზე რომ იდგა-მეთქი. თურმე იმ წუთში სულს ლევდა იგი. იმ ტკივილს, ჩემი ბიძაშვილი ტამიშში რომ აიყვანეს ტყვედ და ორი წლის შემდეგ დახვრიტეს, ესეც დაემატა. მერე ლაფანყურში მამიდაშვილისშვილი დავკარგე. ყველა ტყვიამ ჩემს გულში გაიარა. თვითონ ფაქტი არ უნდა მომხდარიყო. ძალადობა მარტო სხვების კი არ უნდა დავგმოთ ქართველებმა, ჩვენი ძალადობაც უნდა დავგმოთ სხვების მიმართ. საქმეში ჩახედულები ამბობდნენ, არც აფხაზეთში და არც ოსეთში ძალის გამოყენება საჭირო არ იყო, მოლაპარაკება სჯობდაო. რადგან სეპარატისტებს მხარში ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი დაუდგებოდა, ვერ მოვიგებდით ბრძოლებს და ომს. თუმცა ბრძოლებს კი ვიგებთ, იმიტომ, რომ გმირი ბიჭები გვყავს, საამისოდ და სასახელოდ შინდისიც კმარა. მერე კი მოლაპარაკებები უნდა ყოფილიყო ათწლეულების მანძილზე და აი, ამ დღეში ვართ ზუსტად, როგორც იწინასწარმეტყველეს მერაბ მამარდაშვილმა და სხვებმა, ჭკვიანმა პოლიტიკოსებმა.

თავიდანვე ღირდა მოლაპარაკებით დაგვეწყო. ახლაც შერიგება მოლაპარაკებით უნდა მოხდეს. ქუთაისში შეხვედრისას პრემიერმა გააჟღერა, ჩვენ დავიბრუნებთ აფხაზეთს და ოსეთს აფხაზი და ოსი ძმების შემორიგებითო. შემორიგების საფუძველი იქნება ის, რომ ჩვენს სიმდიდრეს და ქონებას მათ გავუნაწილებთ. მშვიდობა რომ სჯობია ომს, ტოლსტოიმაც კარგად დააფიქსირა თავის რომანში. ჩვენ რომ უფრო გონივრულები ვყოფილიყავით, ეს არ მოხდებოდა. ვერ გამოვიჩინეთ ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი გონიერება, რამაც მისცა საშუალება ძალას, თავისი მიზანი შეესრულებინა. არავის დავაბრალებ რომ ქართველებმა დაიწყეს ომი. დაწყებით არ დაგვიწყია, მაგრამ საბაბი მივეცით".

**როლეზ გოგიშვილი _ ეროსი მანჯგალაძის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი**: "რამდენიმე ომში ვიყავი, სამწუხაროდ, არც ერთი მომიგია. სადაც გვეგონა სიმართლე იყო, ყოველთვის იქ ვიყავით. 2008 წლის ომი საშინელია. ისტორია განსჯის, როგორ და რატომ მოხდა ასე. ათასნაირი ვერსია არსებობს, თუ ვინ დაიწყო იგი. ამას დრო გვიჩვენებს. ამ ბიჭების სისხლი ვინც დაღვარა, თავის ადგილს მიუჩენს ისტორია. მრცხვენია ვთქვა, რომ საქართველომ დაიწყო ომი. ასეც რომ იყოს, არ უნდა ვთქვათ. უბრალოდ, ჩვენ პროვოკაციაზე წამოვეგეთ. ამ ომმა გვიჩვენა, რომ ჯერჯერობით სუსტები ვართ, პატარა ქვეყანა ვართ. ილიას სიტყვებით თუ ვიტყვით: "თავის თავი უნდა გვეყუდნოდეს", მაგრამ არ გვაცლიან. ამის ბედნიერება არასოდეს გვქონია. სამწუხაროა ყველაფერი ის, რა ჭირიც საქართველოს ჭირს. ზოგიერთს უხარია ეს ჭირი კიდეც, რადგან მის პოლიტიკურ წისქვილზე ასხამს წყალს. რა მნიშვნელობა აქვს, სათავეში ვინ იქნება, თუ საქართველოსთვის საწინაო საქმეს გააკეთებს. ბევრი არასწორი რამ ხდება. სჯობს, კარგს კარგი დავარქვათ, ცუდს – ცუდი. თუ ყველაფერს მისი სახელი დაერქმევა, საქართველო აყვავდება და გაბრწყინდება".

**ნუგზარ ნუცუბიძე _ მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი დიდ ჯიხაიშში:** "განვითარებულ ქვეყანაში, განვითარებულ მსოფლიოში 21-ე საუკუნეში ომი არის შეცდომა. საქართველოდან ძალიან ბევრი ახალგაზრდა წავიდა და დაიღუპა. ეს დიდი ტკივილია ოჯახებისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის. მათ დაღუპვას თითოეული ჩვენგანი განვიცდით. იმედი მაქვს, მოლაპარაკებებით შესაძლებელი გახდება მსგავსი ფაქტების თავიდან აცილება. ამ ომმა დაგვიმტკიცა, რომ საქართველო პატარაა, მაგრამ გმირები ჰყავს. პირტიტველა ბიჭებმა იცოდნენ, ვის, რამხელა მონსტრს ეომებოდნენ, მაგრამ სულით და გულით იბრძოლეს. შევძელით, გვეჩვენებინა, როგორი ერთიანობა შეგვძლებია ჩვენი ქვეყნისთვის".

**ზაქრო კაჭახიძე _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურის უფროსი:** "2008 წლის ომი, ვფიქრობ, არ უნდა მომხდარიყო. მოლაპარაკებებით უნდა გადაწყვეტილიყო ყველაფერი. იმ პერიოდში ქართველებსა და ოსებს ერთმანეთში უკვე მოგვარებული ჰქონდათ სიტუაცია. რომელ ხელისუფლებას აწყობდა ომი, არ ვიცი. საქართველოს გმირები მრავლად ჰყავს. ამ ომმა კი კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ თუ დასჭირდება ჩვენს ქვეყანას, ისევ ეყოლება ისინი. ეს ადამიანები დასაფასებელია. ტერიტორიები რომ დავკარგეთ, ეს ცუდია, ცუდია, როცა ახალგაზრდა იღუპება.

სამხედრო-სავალდებულო სამსახური ყველა ქართველმა უნდა მოიხადოს. ის, რომ წვევამდელები ჯარში არ წავიდნენ, მე არასწორად მიმაჩნია. აფხაზეთის ომის მონაწილე ვარ, გულანთებული ბიჭები წავიდნენ მაშინ იქ საომრად, მაგრამ ელემენტარულად ავტომატის დაშლა-აწყობა არ იცოდნენ. სხვა თუ არ-

## ფერისცვალებას გილოცავთ!

ფერისცვალება ქრისტეს სასწაულებრივი გარდასახვის აღსანიშნავი დღესასწაულია. ამ დღეს ხდება ხილის, ყურძნისა და ხორბლის კურთხევა.

იესო ქრისტე ხშირად ეუბნებოდა თავის მოწაფეებს, რომ ადამიანთა გადარჩენისათვის იგი უნდა ეწამოს, უნდა მოკვდეს და მესამე დღეს აღდგეს. მაგრამ სიკვდილს რომ მისდამი, როგორც ღვთის შვილისადმი რწმენა არ შეერყია მის მოწაფეებში, იგი მათ წინაშე გარდაისახა, ფერი იცვალა.

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ფერისცვალებას ეკლესია ახალი სტილით 19 აგვისტოს აღნიშნავს.

ამ დღეს ეკლესიაში ლოცულობენ:

"მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო და რაოდენ ძალედვა მოწაფეთა შენთა, დიდება შენი უჩვენე. რათა, რაჟამს იხილონ ჯვარცმა შენი, გულის ხმა ჰყონ, ვითარმედ ენება იგი ნებსით არს. და სოფელსა უქადაგონ, ვითარმედ შენ ხარ ჭეშმარიტად ბრწყინვალება მამისა".

ფერისცვალებას გილოცავთ!

***ლევან გაბეჩავა***



# ელიაობა გორმაღალში

**ნინო ნანიტაშვილი**

ხონი-სამტრედიის ეპარქიაში 2 აგვისტოს სოფელ გორმაღალში ტრადიციული სახე მიიღო ელიაობის დღესასწაულმა. არა მარტო ქალაქიდან და მეზობელი სოფლიდან, ამ დღეს გორმაღლისკენ სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ათეულობით ადამიანი მოემართება. მრევლი ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვა-ლოცვას ესწრება.

თითქმის ყოველი წლის 2 აგვისტოს სოფელს აბედნიერებს ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველის, მეუფე საბას საგანგებო სტუმრობა. გამონაკლისი არც წლევანდელი წელი ყოფილა.

გორმაღლიდან ამაღლებული განწყობით დაბრუნდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. კობა ძიძიგურმა საკუთარი განცდების გაზიარება "სამტრედიის მაცნეს" მკითხველისთვისაც განიზრახა: "2016 წლის 2 აგვისტოს, ტრადიციულად გახლდით გორმაღალში, ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში. წირვას ჩვენი მეუფე, საბა ატარებდა. მე, პირადად, ძალიან მიყვარს ეს დღე. ელია წინასწარმეტყველი და ილია მართალი ჩემი საყვარელი წმინდანები არიან და გამორჩეულად ვგრძნობ მათ დახმარებას. ეს ტაძარიც, მართალია პატარაა, მაგრამ გამორჩეული არქიტექტურა აქვს, ძალიან კოხტაა და ძალიან მომწონს. ტაძრის წინამძღვარი _ მამა დავითიც გამორჩეული მოძღვარია და მასთან ურთიერთობაც ყოველთვის მიხარია, მით უმეტეს ტაძრის დღესასწაულზე. ბევრი ნაცნობი და მეგობარი მხვდება ხოლმე ამ დღეს და ყოველთვის სასიამოვნო გარემოა, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი თვალსაზრისით; ჩვენი მეუფე საბა, ყოველთვის ცდილობს ელიაობას დარჩეს სამტრედიაში, მიუხედავად იმისა, რომ მღვდელმთავრები ყოველთვის ცდილობენ პატრიარქს მიულოცონ ანგელოზის დღე და მის გვერდით იყვნენ 2 აგვისტოს.

ამ მიზეზების გამო, მიუხედავად სიცხისა და ტაძარში სიმჭიდროვისა, კმაყოფილი ვარ, რომ მოვახერხე დავსწრებოდი სამეუფო წირვასა და ელიაობის მადლი წამომეღო...



მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თქვენი გაზეთის მეშვეობით ედემ ბოცვაძეს, რომელმაც მამის საპატივცემულოდ, მისი სულის საცხოვნებლად ასეთი ლამაზი და მადლიანი ტაძარი აჩუქა თავის მშობლიურ სოფელს, 1998 წელს. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ეპარქიაში მეტი არც არის ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარი და აგვისტოს პაპანაქებაში ხშირად მიულია სამტრედიელებს ამ ტაძარში აღვლენილი ლოცვების შედეგად წვიმის მაცხოვნებელი მადლი. მე, მგონი ყველასთვის ცნობილია, რომ ელია წინასწარმეტყველის ლოცვის შედეგად წვიმა წამოვიდა ისრაელში 3 წლის გვალვის შემდეგ. სასიხარულოა, რომ საქართველოში ჩვენს ეპარქიაშიც მომრავლდა ტაძრები და მოიმატა მრევლმა ეკლესიებში, მაგრამ ჯერ კიდევ შორს ვართ რწმენის იმ სიღრმეებთან, რომლის მეშვეობითაც ღმერთი შეისმენს ჩვენს ლოცვას და ჩვენს ხალხს თავის წყალობას მოუვლენს... თუმცა კი საკითხავია, რა უნდა ჩვენს ხალხს? რა გვჭირდება ყველაზე მეტად? _ რაც უფრო მეტად ვფიქრობ, უფრო ვრწმუნდები, რომ სწორედ რწმენის ნაკლებობაა, ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა; საქართველოში, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ეკლესიაში მისვლა და ღმერთთან საუბარი, რომ შეგვეზარება, ღვთის წყალობა და ღვთის მადლი როგორ უნდა მოგვევლინოს? თუმცა მჯერა, რომ ღვთის წყალობა აღურაცხელია და სწორედ რწმენის გაძლიერებაში დაგვეხმარება უფალი და დედა ღვთისმშობელი"!

# Street Art სამტრედიაში

სამტრედიის ქალაქის ტერიტორიაზე რამდენიმე თვალსაჩინო ადგილას შენიშნავთ ბავშვების, ახალგაზრდების და არა მარტო მათი ხელით შენობების ფასადებზე გაკეთებულ უხერხულ, ხშირ შემთხვევაში უწმაწურ წარწერებს, რომელთა წაშლა მოსახელობას არ შეუძლია. არადა, იგი ჩვენი ქალაქის იერსახეს თან ამახინჯებს და თანაც ღირსებას ულახავს.

ერთ-ერთი ასეთი ადგილი რუსთაველის ქუჩის 10 ნომერია, სადაც გამვლელ-გამომვლელს თვალში უხეშად ხვდებოდა სხვადასხვა შინაარის და სხვადასხვა ენაზე შესრულებული წარწერები. ზოგს ნახატიც "ამშვენებდა".

ასეთ ადგილებს, შეიძლება ითქვას, სულზე მოუსწრო და მშველელად გამოუჩნდა პროექტი "ქალი საჯარო სივრცეში". ეს უკანასკნელი გახლავთ ქუჩის მხატვრობა _ **Street Art.**

პროექტის კოორდინატორი, ანი მაღლაკელიძე ივნისში სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოვიდა, დარგის კურატორსა და განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს შეხვდა, გააცნო მათ პროექტის შინაარსი, რომლისთვისაც ესაჭიროებოდათ ნებართვა ქალაქის ტერიტორიაზე ფართის გამოყოფის თაობაზე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით განხორციელდა მხატვარ ლია უკლებას პროექტი "ქალი საჯარო სივრცეში", თემაზე ქალთა უფლებები, რომელიც 30 ივნისს დასრულდა. **Street Art-ზე** მხატვარი ლია უკლება 3 დღის განმავლობაში მუშაობდა.

პროექტი ითვალისწინებდა ქუჩის მხატვრობას (**Street Art**). ნამუშევრის ნახვა რუსთაველის ქუჩის №10-შია შესაძლებელი.

მაკა უგულავა, მთავარი სპეციალისტი კულტურის საკითხებში: "რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს გახლავთ სამტრედიაში კედლის მოხატვის პირველი პრეცედენტი. ვისაც ამ დღეებში რუსთაველის ქუჩის ამ კონკრეტულ ნაწილში გაუვლია, ნამდვილად აღფრთოვანებული დარჩებოდა ლია უკლებას მიერ შესრულებული ნამუშევრით. ამ ფაქტს მოჰყვა ძალიან პოზიტიური გამოხმაურება, რაზეც მეტყველებს ინტერნეტსივრცეში დადებული პოსტები, ფოტოები და კომენტარები. სასურველია, რომ ჩვენს ქალაქში ასე ლამაზად ბევრი კედელი მოიხატოს".

***ნინო ნანიტაშვილი***



# ყველა ტყვიამ გულში გაიარა

←

აფერი, ამის ცოდნას იძლევა ჯარი. იქ ვაჟკაცობას სწავლობენ, მეგობრობას, ურთიერთგატანას. უამრავი ჯარისკაცი მყავს ისეთი, რომელთაც სამხედრო-სავალდებულო სამსახურში წასვლა არ უნდოდათ, მაგრამ დღეს უკვე წლებია, იქ მსახურობენ".

**დავით ბახტაძე _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე:** "აგვისტოს ომი არის მაგალითი ქართველი თავდადების, გმირობისა და სიყვარულის. რთულია განსჯა პოლიტიკური პერიპეტიების, თუმცა, კარგი იქნებოდა, ომი არ ყოფილიყო.

ჩემი პედაგოგის შვილი იყო ლევან მელქაძე. ვიცნობდი მარლენ ბარამიას. ამ დღეს ყოველთვის გულდამძიმებული ვხვდები. ჩვენი მხრიდან ვცდილობთ, რომ საზოგადოებამ უკეთ გაათვითცნობიეროს და ახსოვდეს 8 აგვისტო. ამის დასტურია, თუნდაც, განახლებული მემორიალი. საზოგადოებამ კარგად უნდა გაითავისოს ეს ტკივილი და სამომავლოდ არ დაუშვას ის შეცდომა, რაც აქამდე მოხდა".

**მურმან ტორონჯაძე _ სამტრედიის მკვიდრი:** "2008 წლის ომის დროს უკრაინაში, დონეცკის ოლქში ვცხოვრობდი. მერიაში დავრეკე და ვითხოვე, ომის საწინააღმდეგო მიტინგის ჩატარების უფლება მოეცათ. ცოტა ხანში სახლში უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები მეწვივნენ, მითხრეს, თუ ავიღებდი პასუხისმგებლობას, რომ მიტინგზე ექსცესებს არ ექნებოდა ადგილი. ქართველთა სათვისტომომ, საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის საზოგადოებამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მაინც მოახერხეს მიტინგის ჩატარება. მიტინგზე დავგმეთ ომი და რუსული აგრესია. ვთქვი და ვიმეორებ, რომ ხალხს არ სჭირდება ომი. საქართველო, უკრაინა და რუსეთი ერთმორწმუნე ქვეყნები არიან. მათ ერთმანეთის წინააღმდეგ არ უნდა იბრძოლონ. არავინ არავის უნდა ჩაგრავდეს. ივანე, ვანო და ნიკოლა ერთმანეთის მტერი არასდროს იქნება. ივანეც მუშაობს მიწაზე, ვანოც და ნიკოლაც. არც ერთი მთავრობა, რომელიც კი მოსულა, არ უთქვამს ივანესთვის, ვანოსა და ნიკოლასთვის, შენი თოხი მათხოვე, ვიმუშავებ და მერე მოგცემო. ყველა ფიქრობს, რა წაართვას მიწაზე მომუშავე კაცს. სინამდვილეში კი იმ კაცზე დგას მთელი სახელმწიფოები. უკრაინა, რომელსაც მთელ მსოფლიოში დაახლოებით 50-70% საუკეთესო მიწები აქვს, როგორ უნდა დააჩოქო, რომ უჭმელ-უსმელი იყოს იქ ხალხი. მე ვთვლი, რაც გააკეთა სააკაშვილმა, ერთი მხრივ, ნორმალური და ადეკვატურია, არ ვიცი, რა ამოძრავებდა მას, მაგრამ როცა რუსის ტანკი თბილისიდან 65 კილომეტრში დგას ეს ნიშნავს, რომ საქართველომ თავდაცვითი ომი აწარმოა. როცა ქართული ტანკი იქნება მოსკოვიდან 65 კილომეტრზე, მაშინ ჩვენ ვიქნებით აგრესორები.

ბევრი პოლიტიკოსი ლაპარაკობს აბდაუბდას. მთავარი ის არის, რომ რუსი აგრესორია".

**დავით მანჯგალაძე _ სამტრედიის ინტელექტკლუბ "ინტერსტელარის" წევრი, ბათუმის სასულიერო სასწავლებლის სტუდენტი:** "იმ პერიოდში, როცა ომი დაიწყო, მცირე ასაკის ვიყავი. ბოლომდე ვერ გამეაზრებინა, თუ რა ხდებოდა. ჩვენგან ბევრი ახალგაზრდა მოხალისედ წავიდა ომში. დარჩენილები ტიროდნენ, ადამიანები მიდი-მოდიოდნენ. ვერ ვხვდებოდი, ეს რატომ ხდებოდა. როცა გავიზარდე უფრო და უფრო გავაცნობიერე. ალბათ, ამან მომცა მოტივაცია, სამხედრო პირი გავმხდარიყავი. ჩავაბარე საოფიცროზე, დავამთავრე კადეტთა სამხედრო ლიცეუმი. ასეთ დროს შეიძლება ეტალონად გყავდეს ვინმე, მაგალითად, მაზნიაშვილი, კვინიკაძე და ა. შ. მაგრამ, როდესაც იცი მარლენ ბარამიას შესახებ, წარმოიდგენ, რომ ის სამი-ოთხი წლით უფროსია შენზე, გაინტერესებს, თუ რა ხდებოდა მის გონებაში, როცა ხელებში იარაღი ეჭირა, იცავდა საქართველოს და თავი შესწირა მას.. თითქოს ვცდილობდი, მარლენ ბარამიას როლს მოვრგებოდი. ეს, რა თქმა უნდა, ბავშვური მომენტები იყო და შეუძლებელიც. ახლაც გრძელდება ჩემში ის, რამაც მოტივაციის ამაღლება გამოიწვია. მცირე ასაკის ბიჭი დადგეს სადარაჯოზე და ისეთი კარგი რამ ჰქნას, რასაც ქვეყნის დაცვა ჰქვია, ეს უპირველესია. იგივე გიორგი ანწუხელიძის მაგალითი, 17 შინდისელი _ ისინი ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება, თუნდაც, საქართველოს გამთლიანებისკენ მიმავალ გზაზე ან, ზოგადად, ცხოვრების ნებისმიერი გადაწყვეტილებების მიღებისას".

# მთას აკაკი შანიძის სახელი მიენიჭა








**ნინო ნანიტაშვილი**

2016 წლის 30 ივლისს, შაბათს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით მოეწყო ექსპედიცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი მთის დასალაშქრად. არსებული ინფორმაციის თანახმად მთას აქამდე არ ჰქონდა სახელი. შესწავლის შემდეგ მას აკადემიკოს აკაკი შანიძის სახელი მიენიჭა, რასაც წინ უსწრებდა გიორგი დვალაშვილის სამტრედიაში სტუმრობა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის გეომორფოლოგიის და კარტოგრაფიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი გიორგი დვალაშვილი ერთ-ერთი იყო, ვინც დასავლეთ საქართველო შემოიარა, მათ შორის იმყოფებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ოფეთის თემის სოფელ თხილაგანში, სადაც მის მიერ აღმოჩენილი იქნა უსახელო მთა.

როგორც ძეგლთა დაცვის საკითხებში წამყვანი სპეციალისტი ნათია გოგოძე და სპეციალისტი აკაკი ჭანჭალეიშვილი იხსენებენ, გიორგი დვალაშვილი დაინტერესდა უსახელო მთით და გაუჩნდა სურვილი, მისთვისაც მიენიჭებინათ რომელიმე ცნობილი ადამიანის სახელი. ასეთად ერთხმად მიჩნეული იქნა ენათმეცნიერი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე.

ძალიან მალე გიორგის ინიციატივის გასაჟღერებლად დარგის კურატორი ლიზა კრავეიშვილი, სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე, წამყვანი სპეციალისტი ნათია გოგოძე და სპეციალისტი აკაკი ჭანჭალეიშვილი მუნიციპალიტეტის გამგებელთან შევიდნენ. ვალერიანე ფოცხვერიამ მოიწონა იდეა და მათ იქვე შესთავაზა, გამოეკითხათ ორივე სოფლის, ოფეთისა და თხილაგანის მოსახლეობის აზრი.

ნათია გოგოძე, წამყვანი სპეციალისტი: ''მოსახლეობაში ჩავატარეთ გამოკითხვები. შევთავაზეთ სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს, მოეწვიათ კრებები, სადაც მოისმენდნენ ადგილობრივების აზრს, რამდენად მისასალმებელი იყო მათთვის უსახელო მთისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭება.

ამ ფაქტს ყველა დადებითად შეხვდა. ვიღაცას შეიძლება კითხვაც გაუჩნდეს, რატომ მაინცდამაინც აკაკი შანიძის სახელი, იმ შემთხვევაში, როცა უსახელო მთა არ მდებარეობს ნოღაში? ახსნა ასეთია: ადგილი, რომელსაც აკაკი შანიძის სახელი მიენიჭა, სამტრედიაში ყველაზე მაღალი მწვერვალია. ჩვენც მიგვაჩნია, რომ აკაკი შანიძე თავად მწვერვალია ქართული ენათმეცნიერების. ნიჭიერი ახალგაზრდის, შოთა პაპავას მეშვეობით ხმა მივაწვდინეთ მეცნიერის ქალიშვილს, მზექალა შანიძეს, რომელმაც ძალიან თბილი წერილით გვიპასუხა, სიყვარულით მოიგონა ''აკაკი შანიძის მშობლიური კუთხე, რომლითაც თავად აკადემიკოსი ხშირად ინტერესდებოდა''.

ამას მოჰყვა სახელის მინიჭებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის გავლა, რაშიც ძალიან დაგვეხმარა გიორგი დვალაშვილი. ასევე, რომ არა მუნიციპალიტეტის გამგებლის აქტიური მხარდაჭერა, საბოლოო შედეგს ვერ მივიღებდით''.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა ორი საინფორმაციო აბრა შეუკვეთა. ერთი დაიდგა სოფელ თხილაგანის ტერიტორიაზე, მეორე როგორც წესი მიმაგრდა ხეზე, რომელიც მდებარეობს აკაკი შანიძის სახელობის მთაზე, ზღვის დონიდან 1084 მეტრზე.

ექსპედიიცისთვის წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად იყვნენ ჩართულები სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ოფეთის თემში, თეიმურაზ ჩხაიძე, საკრებულოს დეპუტატი, ტარიელ თევზაძე. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია, გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ოფეთის თემში თეიმურაზ ჩხაიძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები, სამტრედიის სკოლების მოსწავლეები, სამტრედიელი სტუდენტები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებული ახალგაზრდა პარლამენტი. აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, გიორგი დვალაშვილი. ექსპედიციას მეგზურობას უწევდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოფეთის თემის მაჟორიტარი, დეპუტატი ტარიელ თევზაძე. 1964 წლის საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკაზე ოფიციალურად დაფიქსირებულია უსახელო მწვერვალი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1084 მეტრია. ეს მთა მდებარეობს ე. წ. ''კოკოცას'' სერზე, ეს სერი კი წარმოადგენს წყალგამყოფს, ამ მონაკვეთიდან სათავეს იღებს სამი სხვადასხვა აუზის მდინარე.

სამტრედიის ყველაზე მაღალ მწვერვალთან მისვლა შეიძლება სამი მხრიდან. 1. მწვერვალის სამხრეთით მდებარეობს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი თხილაგანი, მდინარე ხევისწყალის ხეობით მანძილი მწვერვალამდე არის 4 კმ, გზა მიუყვება ტყიან მასივს, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთით ბილიკი ადის წყალგამყოფზე, გაივლის მთა საყინულეს და მიემართება აღმოსავლეთით. ბილიკის შეფარდებითი სიმაღლე არის 600 მეტრი (საავტომობილო გზის დასასრულიდან მწვერვალამდე).

უახლოეს მომავალში, შესაძლებელია, სოფელ თხილაგანიდან მთა ''აკაკი შანიძის'' მიმართულებით ტურისტული მარშრუტის მარკირება, აგრეთვე შესაძლებელია წრიული მარშრუტების დაგეგმვა ერთის მხრივ ვანის მუნიციპალიტეტის მიმართულებით, აგრეთვე ჩოხატაურის მიმართულებით. ტურისტული ბილიკით სარგებლობა სასურველია აპრილიდან ნოემბრამდე. _ ასეთ რჩევა-რეკომენდაციას ლაშქრობის მოყვარულთ აძლევს გიორგი დვალაშვილი.

30 ივლისს ყველა სასიამოვნოდ გაოცებული დატოვა ლაშქრობის ერთ-ერთმა ინიციატორმა და მონაწილემ, ლიზა კრავეიშვილმა. იგი ახალგაზრდებს ტოლს არ უდებდა. მან დაუბრკოლებლად შეძლო ციცაბო ბილიკის გავლა.

ლიზა კრავეიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე: ''მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში ტარდებოდა აკაკი შანიძის იუბილე, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდები. მათთან საუბრის დროს დავაანონსეთ, რომ სამტრედიაში ერთ-ერთ უსახელო მთას აკაკი შანიძის სახელი მიენიჭა, იქვე შევთავაზე, ზაფხულში მოგვეწყო ლაშქრობა მათი ჩართულობით. 30 ივლისს ერთობლივად გავეშურეთ მთის დასალაშქრად, მე პირადად მქონდა ძალიან ამაღლებული განწყობა და უდიდესი სურვილი, მიზანი სისრულეში მომეყვანა. 50 კაცი შევუდექით ციცაბო აღმართს. ასვლა კი ოცდაორმა შევძელით. მიუხედავად სირთულეებისა, შევძელი, ბოლომდე ავსულიყავი აკაკი შანიძის სახელობის მთაზე, დავსწრებოდი საინფორმაციო აბრის გაკვრას. სახლიდან წაღებული შამპანური გავხსენით და ღირსშესანიშნავი დღე დავლოცეთ. ცარიელ ბოთლში კი იმ ადამიანების სია ჩავდეთ რომლებიც ბოლომდე ავედით მთაზე. ბოთლი ხის ფუღუროში მოვათავსეთ''.

# როცა სივრცე ქართულია

**ქეთევან ჭელიძე**

''საქართველოს ეროვნული ფესტივალი'' ჩვენი მუნიციპალიტეტისთვისაც წარმატებით დასრულდა. მხატვარი გივი ფრანგიშვილი ''აკადემიური ფერწერის'' ნომინანტი გახდა, პირველ ადგილზე გავიდა და ფულადი ჯილდოც მოიპოვა.



ფესტივალი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში ჩაატარა. იგი 2015-2016 წლების დათვალიერების შედეგების მიხედვით შეჯამდა.

ხალხური სიმღერა და ცეკვა, საკრავიერი მუსიკა, ტრადიციული საეკლესიო გალობა, ზეპირსიტყვიერება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება იყო ის დარგები, რომლითაც თვითშემოქმედებითი კოლექტივები და ინდივიდები წარსდგნენ კომპეტენტური ჟიურის წინაშე. ფესტივალის დებულების თანახმად მასში საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსი და ეთნიკური ჯგუფი მონაწილეობდა. მის მიზანს ფოლკლორში არსებული ვითარების გარკვევა, თვითშემოქმედებითი ადამიანების წახალისება და მათი საზოგადოებისთვის გაცნობა წარმოადგენდა.

''საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი'' რეგიონული და დასკვნითი ტურებისგან შედგებოდა, რომელიც ცოტა ხნის წინ, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე გალა-კონცერტით დასრულდა.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გივი ფრანგიშვილმა ორი ნახატი: ''მარადიული გოდორი'' და ''ჩემი სოფელი'' გამოფინა. ნამუშევრებმა არა მარტო ჟიურის, დამთვალიერებლის მოწონებაც დაიმსახურა. ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს მხატვარს და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს.

ხატვა მან 10 წლის ასაკში მიწაზე დაიწყო, რადგან არ ჰქონდა ფურცელი და ფანქარი. ნიჭმა თავისი ჰქნა და 22 წლის ასაკში პირველად მიიღო გამოფენაში მონაწილეობა. ნახატი ''ცხენბურთი'' პროფესიონალებმა საუკეთესო ნამუშევრად აღიარეს. ახალგაზრდა მხატვარმა კომკავშირის სახელობის პრემია და მეორე ადგილი დაიმსახურა. წარმატებული წლები მრავლად ჰქონდა გივი ფრანგიშვილს. ნაივური მხატვრობისთვის დამახასიათებელი მისი ''გულუბრყვილო'' პერსონაჟები ეროვნული მუხტის, ნიშნის მქონე ადამიანები არიან.

მათი საყოფაცხოვრებო სივრცეც და სამოქმედო არეალიც ქართულია.

ბატონმა გივიმ წლების მანძილზე არაერთ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. 2008 წელს იგი პერსონალურად გამოიფინა ''უნივერსში'', გამოფენილი იყო ''ცისფერ გალერეასა''



და დავით კაკაბაძის სახელობის სურათების გალერეაში და სხვაგან. პერიოდულად იფინება ქუთაისში, საგამოფენო დარბაზ ''ვარლაში''. წელსაც გამოიფინა მისი ნახატები, აქ სხვა სამტრედიელი მხატვრების, ჯემალ ტაბიძის, ზაზა ღურბელეიშვილის, გია შუბლაძისა და იაგო ჩხიკვაძის ნამუშევრებთან ერთად. წელსვე გადაწყდა, საფუძველი ჩაეყაროს იმერეთის რეგიონის მხატვართა ნამუშევრების ყოველწლიურ გამოფენას ''იმერული პალიტრა'', რომელიც ''ვარლაში'' ზაფხულობით მოეწყობა.

იდეები და მუშაობის სურვილი მოჭარბებულად აქვს მხატვარს. ვულოცავთ მას ამ გამარჯვებას და ვიმედოვნებთ, ის სოციალური წნეხი, რაზეც ის ხშირად საუბრობს, ხელისშემშლელი არ გახდება, ახალ-ახალი ნიმუშებით გაამდიდროს თავისი შემოქმედება.

# რაცა ვარ, ესა ვარ!

და რაც არის, ვაჟა აზარაშვილია, უკვე ოთხმოცი წლის, მისი სიმღერებით ამღერებული საქართველოს ღირსეული მამულიშვილი. ბგერებით, ჰანგებით, მელოდიით ნათქვამი სიყვარული კარგა ხანია, ხალხში ატარებს ღირსეულ, პატივსაცემ კომპოზიტორად და ადამიანად. საიუბილეოდ გამართული საკონცერტო ტურნეს ფარგლებში იგი თავად მივიდა მსმენელამდე და არაერთ რაიონში კონცერტები გამართა.



ესტუმრა სამტრედიასაც და ხელოვანთა დარბაზში ისეთი კონცერტი გამართა, დარბაზის უმრავლესობა აღფრთოვანებულ ტაშს აყოლებდა, პრობლემებმომრავლებულ ამ ცხელ დღეებში მეტი თერაპია რა გინდაო!

განა მარტო თვითონ, მის სიმღერებს მომღერალი ზურა კობეშავიძე ასრულებდა ავტორთან ერთად. სიმღერა, რომელსაც აწ გარდაცვლილი მომღერალი ეთერ კაკულია მღეროდა, მისმა შვილიშვილმა შეასრულა. საკუთარი ლექსებით მანანა დანგაძემ მოხიბლა დარბაზი. იუმორისტული ჩანახატები იუმორისტმა ლადო ხელაშვილმა წაიკითხა.

ყოფილ მოსწავლეს, სამტრედიელ კომპოზიტორ მზია ჯინჭველაშვილს მიესალმა და საქმიანობა შეუქო ვაჟა აზარაშვილმა. ზურა კობეშავიძემ კი ძველ მეგობარს, ბეჟან გოგიას სთხოვა სიმღერის დროს "მიხმარებოდა".

კარგად ნაცნობი მელოდიების გახსენება ზოგისთვის სიყმაწვილის, ზოგისთვის "კარგი დროის" გახსენების საბაბდ იქცა და რითმებსა და რიტმებს აყოლილი ტაში დარბაზში მთელი კონცერტის მანძილზე ისმოდა.

**თეა ბაბუნაშვილი**

# არწივების საბუდარია ჩემი სოფელი

ნიგორზღვა მაღალი გორის ფერდობზეა გაშენებული. სოფელი საუკეთესო ჯიშის ხეებითაა შემოფარგლული, აქედან ხელისგულივით მოსჩანს კოლხეთის დაბლობი. საოცარი სილამაზით მიიკლაკნება მდინარე რიონი. სოფელს ესაზღვრება გამორჩინებული, ზანდოს მთა, სოფელში ყოფილა ეკლესია, რომელიც მაშინდელ ურწმუნოებს დაუნგრევიათ. ნათქვამია, დრო მკურნალიაო, სოფელში გამოჩნდა მორწმუნე, განათლებული ახალგაზრდობა. ეკლესიის აღდგენა, აღორძინება დაისახეს და შეასრულეს. აგუგუნდა მანქანები, მოზიდეს სამშენებლო მასალა, გაკეთდა ხარაჩოები, დიდი და პატარა იყო დასაქმებული. საკვები მოჰქონდათ გოგო-ბიჭებს, საზეიმო განწყობა სუფევდა სოფელში. ღვთის სამსახურისთვის მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდნენ მეზობელი სოფლებიც. დიდი წვლილი შეიტანა სოფლის ახალგაზრდობამ, თქვენი ღვაწლი დაუვიწყარია სამარადჟამოდ, თქვენს გმირულ საქციელს ოქროს ასოებით სათუთად შეინახავს დედაეკლესია. ბატონები გულივერ გაგუა, მამუკა მსხილაძე, ომიკო ტონია, – თანასოფლელებო, ვაშა, თქვენს მამულიშვილობას! ეკლესიასთან ახლოს, დაბლობში, ზაფხულში წყაროსთან სიო და სიგრილეა. სოფლის ბავშვებთან ერთად თავს იყრიან ქალაქიდან ჩამოსულებიც. მღერიან, ცეკვავენ, ერთობიან, ჟრიამულობენ. არდადეგების დასრულების შემდეგ კი თვალცრემლიანი სცილდებიან ერთმანეთს.

სოფლის შემოსასვლელში ვაკე ადგილზე ყოფილა კრამიტის საამქრო, რომელიც ხარისხით ტოლს არ უდებდა მარსელის კრამიტს. მოთხოვნა საკმაოდ მაღალი ჰქონია. ხარობდა მშრომელი კაცი, გაჩნდა საარსებო წყარო, უხაროდა სტუმარი.

სოფელში მრავლადაა უნიკალური ჯიშის ხეხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი, ბროწეული, ბალი, ალუბალი, წაბლი, თხილი, ნიგოზი და სხვა. მინდვრის დედოფალი, სიმინდის კულტურა ამშვენებს არემარეს. მშვენებაა ვაზი – ცოლიკაური, თხმელაზე ან თუთაზე გასული, მაყვალივით შავი ადესა, ზემოდან რომ ამაყად დაჰყურებს სოფელს. აქ აღმოცენებულ ვაზს უებარი სამკურნალო თვისებები გააჩნია, ხელს უწყობს სისხლის სწორ მიმოქცევას, სითხის მიღებისას გონება ბრძენდება, აჯანმრთელებს ორგანიზმის ყველა უჯრედს, უმჯობესდება მხედველობა. მოსავლის აღების დროს უფლის ნაბოძებ ნაკურთხ მიწაზე, ლაბა ხარივით უღლელია ნიგორზღველი გლეხი კაცი.

როდესაც პაწაწინა ქვეყანას ევლინება, ღვინით ლოცავენ, ადამიანს მარადიულობაში გადასვლის დროს ღვინით აცილებენ; ნებისმიერ საბანკეტო, საზეიმო მაგიდას ღვინო ამშვენებს, სირცხვილნამუსის დამცველია იგი, ადამიანის თანამგზავრია დალოცვილი.

გსურთ იყოთ ჯანმრთელი? მობრძანდით! ნახეთ ნიგორზღვა, ჩვენი სოფელი.

წვიმის წყლის ნაკადს, ნიაღვრად მოსულს,

სოფელი დაუხრამია, ლომთა საწოლი ნიგორზღვა,

დევების ნამუხლარია.

**ნიგორზღველი**

***
მოხვედი და დაგინახე,
უკვდავების წყარო მასვი,
დედაჩემის პერანგივით
ტანზე ლექსი გადაგაცვი.
შენი ფერით ვარდისფერით
შეეფერა ლექსს ლოყები
და გადარჩა უშენობით
სულთამბრძოლი სტრიქონები...

***
ქარმა აიდგა თითქოს ფეხი და
ხმელი ფოთლები ბაბუას დიდი ფოსტლებივით
ისე აცვია, თითქოს ფეხიდან უვარდებოდეს...

***
ცა დაიხურა, მზე გამოკეტეს
და კარებივით დაკეტეს ღამე
და ცის საკეტზე ვით მოვერცხლილი
თითქოს ბოქლომად დაადეს მთვარე...

***
შეგხედე და შენი სახე
თვალებში რომ ჩამეხატა,
ახლა კი შენს ლამაზ თმაზე ჩემი თვალების ქუთუთოები
თითქოს ხამხამით ეფერებიან.

***
შენივე მზერით მოხნულ ეზოში
ია-იები მიწვენილან
ცისფერ ბელტებად,
და როგორც სხივზე ჩამოქნილი
ღმერთის ღიმილი
წვიმების ჯაჭვზე მოსრიალებს
დილა ნელ-ნელა...

***
ხეებს ფოთლების ქუთუთოები
ჯერ ბარტყებივით ვერ გაეხილათ,
პატარა ჩიტი ისე წევს ტოტზე,
თითქოს კვირტიდან გამოჩეკილა...

***
მზე მწოლიარე, როგორც აკვანში
ისე ირწევა ზღვაში ჩვილივით.
და, აი, ცაზე ახალი მთვარე
ღამეს ამოსდის ციცქნა კბილივით.

***
ცა გადაშლილა წიგნივით უკვე,
მეტი რა უნდა ამ წუთში მწერალს?!
სტრიქონებივით დაყოფილა თეთრი ღრუბლები,
პოეტი ზის და უბრალოდ იწერს
რვეულში ზეცას.

***
სასაფლაოზე გოგონას
გადაშლილი სურათი
ისეა, თითქოს,
იქვე ერდოზე დაღვრილ გუბეში
დილის ღიმილიან მზეს ჩაეხედოს...

**ერმილე თოფურია**

**ვარსკვლავები**

რა უბრალოდ ციმციმებენ ვარსკვლავები
მზესთან ახლოს, სხვა რა უნდა დედამიწას!
ტურფა ასულს გაუშლია ნაწნავები
ვარსკვლავების ნებისაებრ რომ დაიწნას.
სხვა რა უნდა დაიმარხოს გულში თბილად
მზე თუ არა, რით შევამკობთ მოგონებებს?
მადლით სავსე გული იწვის შესაწირად,
გაზაფხულის სურნელებას სულს უმონებს.
დღისით მზე და ღამით წყვდიადს აპობს მთვარე,
ორთაბრძოლა შიშის ძრწოლად გადაიქცა,
რომ ღრუბლებმა შვან ხელახლა მონარნარე
წყაროს თვალი, ანცად ცისკენ რომ გაიქცა.
რა უბრალოდ ციმციმებენ ვარსკვლავები
მზესთან ახლოს, სხვა რა უნდა დედამიწას!
ტურფა ასულს დაუწნია ნაწნავები
ვარსკვლავების ნებისაებრ რომ დაიწნას.

**განა გულისხმა ყველას სულმა ერთობ იამა**

დავეძებ ადგილს, დედამიწის ზურგზე კი არა...
ერთგულ შერმადინს, მზესთან ყოფნა რარიგ სწყურია,
გამხადეთ ღირსი, მომაწოდეთ ხელში ფიალა,
შვების საწყისი, – ხმა დიდების საამურია.
ფიქრი გამექცა, სანუგეშო აზრი კი არა,
დაე, სახეცვლამ გაამხილოს გულისნადები,
ვაღმერთებ ადგილს, სადაც ნისლმა გადაიარა,
და ავთანდილმა გადაწმინდა სახე ლანდების.
განა გულისხმა ყველას სულმა ერთობ იამა.
მით გაისარჯნენ მოწიწებით ხმატკბილი დები,
ათი ქალწული... ხუთმა, მარცხად დააგვიანა,
ღაღადისია დახშულ კართან, რომ განიხვნები.

**თვალცრემლიანი იყო მიმოზა**

თვალცრემლიანი იყო მიმოზა,
როს გაზაფხული მოიმიმოზა,
და გაუმხილა იასამნებს,
სიამის სუსხი დარდს ასამარებს,
ვინაც იხილა გზა ფიროსმანის,
საბედისწერო გზები მგოსანის.
ლაჟვარდებივით აენთო სული
მთაწმინდის შუქით შემოგარსული.
ოჰ! ეს ღირსება სამარადისო,
ოდეს სული მზის სხივით აივსო.
– გადაწყდა! ბედის ცვალებადობა,
გულს დაამშვიდებს მხოლოდ დანდობა.

**დავით ჩირგაძე**

# საქართველოზე წერდნენ

საქართველოს დარბაისელნი არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანას, ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონოდათ, ვერც არას უზამდნენ, ვერც არას სხვა მტერი წაართმევდა რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მოსისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიან.

**ყანჩაველის ჟამგულნი**

კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირპები რომლებზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი.

**აპოლონიოს როდოსელი**
**ბერძენი ისტორიკოსი, პოეტი**



კოლხთა ოქროს საწმისი იყო ტყავზე ნაწერი წიგნი, შემცველი იმისა, თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო.

**იოანე ანტიოქიელი, ბერძენი ისტორიკოსი**

კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის.

**კარლ რიხტერი, გერმანელი გეოგრაფი**

საქართველო თავად ცოტა იყო და მერე მრავლად ყოფილა გაყოფილი, ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთისა მარბევნი და მაწყევარნი და იესო ქრისტეს რჯული ეჭირათ. ამისთვის იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი და ამისთანას ორს დიდს ხელმწიფეებს შუაში ბევრს ეცადნეს. აქეთ იქნიეს ხმალი და იქეთ და მრავალი ნავნებიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნენ.

**ფარსადან გორგიჯანიძე**
**XVIII ს.**

**შეკრიბა ლევან გაბეჩავამ**



უბედურმა შემთხვევამ სოფელ დიდ ჯიხაიშში მცხოვრები ორი ძმის სიცოცხლე შეიწირა.

18 წლის თემური და 21 წლის ვანო ვაშაკიძეები 9 აგვისტოს მდინარე გუბისწყალში ბანაობის დროს დაიღუპნენ. ერთ-ერთი მათგანი იხრჩობოდა და მეორემ დახმარება სცადა, თუმცა ვერ შეძლო.

ახალგაზრდები მაშველებმა ამოიყვანეს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

*"სამტრედიის მაცნე"*

**მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპნენ თემურ და ვანო ვაშაკიძეები და თანაუგრძნობენ ოჯახს.**



**გალერეა**

# ნათელში იყოს!

სულ მცირე კვირაში სამჯერ-ოთხჯერ შემოივლიდა რედაქციაში. ვიფიქრე ბიჭებს ვნახავ, მოვიკითხავ და მერე წავალ სამსახურში-თქო. _ იტყოდა ხოლმე. ეს ბიჭები კი მისი თანატოლები, ჩვენი უფროსი კოლეგები: ოთარ ნაფეტვარიძე, ანზორ გრიგოლია, კორნელი ჩიხლაძე, შოთა მაღლაკელიძე იყვნენ.

სოფელ ოფეთში გახლდათ დაბადებული ბატონი დავით ჩხაიძე. სრულიად ახალგაზრდას საარტილერიო სასწავლებელი დაუმთავრებია და მეორე მსოფლიო ომშიც უმალ გაუწვევიათ. კავკასიის მისადგომებთან წარმოებულ უთანასწორო ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, მკერდდამშვენებული დაბრუნდა შინ და მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩადგა. ათეული წელი იღვაწა დავითმა რკინიგზის სამტრედიის საავადმყოფოში და უანგაროდ, პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და პასუხიმგებლობით ემსახურა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

_ პირველი წერილი რომ გამოვაქვეყნე გაზეთ ''სოციალისტურ შეტევაში'' მაშინ სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ვიყავი. მას შემდეგ გაზეთთან არ გამიწყვეტია ურთიერთობაო, იტყოდა და ძველი თაობის ჟურნალისტებს საოცარი სითბოთი გაიხსენებდა. თვეში ორჯერ-სამჯერ მაინც იბეჭდებოდა ადგილობრივ გაზეთში ბატონი დავითის მიერ მომზადებული წერილები. მოწინავე ადამიანთა წარმოჩენა, წახალისება, სოფლის, რაიონის საჭირბოროტო საკითხები, მოგონებები, სხარტულები, ანდაზები... ბატონი დავითის კალამს შეუმჩნეველი თითქმის არაფერი რჩებოდა და ისიც ჩვენი გაზეთის გაღმა ზონის დასაყრდენი ინფორმატორი, კორესპონდენტი იყო.



განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბატონი დავითი იყო ერთ-ერთი ვინც გაზეთს კროსვორდებს აწვდიდა, რითაც ახალგაზრდები განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ.

ახოვანი, ჭარმაგი კაცი ენაწყლიანი მოუბარი გახლდათ, იცოდა მეგობრის, მეგობრობის ფასი, უყვარდათ მის კოლეგებს საავადმყოფოში, სასურველი სტუმარი იყო რედაქციის ძველი და ახალი თაობის ადამიანებისთვის.

ჭირსა და ლხინში რედაქციის გვერდით იდგა, გვამხნევებდა, ვუყვარდით, გვიყვარდა, ვეიმედებოდით, გვეიმედებოდა.

სამტრედიის სახელოვანი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი იყო ბატონი დავით ჩხაიძე.

1999 წლის მაისში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა გაზეთის რედაქტორის ყოფილი მოადგილე ქალბატონი ზოია კალანდაძე. მთელი რედაქცია, შტატგარეშე აქტივითა და რედაქციასთან დაახლოებულ პირთა თანხლებით დაკრძალვაზე სოფელ კვირიკეში ვართ. ოჯახი ახალგაზრდა ქალბატონს ეთხოვებოდა. რატომღაც ზოიას გარდაცვალება ბატონ დავითს ვერ შევატყობინეთ, გამოგვრჩა უთუოდ. გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია. ჭიშკართან ტაქსი გაჩერდა, ბატონი დავითი გადმობრძანდა ქუდი (ცილინდრი) მოიხადა, კიბეებს აუყვა და როცა თვალცრემლიანი კიბეებიდან დაეშვა, ისეთი მზერა მოგვაპყრო რედაქციის თანამშრომლებს, რომ მისალმების მაგიერ ბოდიშით ვუპასუხეთ. ჭირსა თუ ლხინში ჩვენთან იყო-თქო, აღვნიშნე და ამის დასტურად გავიხსენე ეს ამბავი.

მშობლიური სოფლის პატრიოტი იყო ბატონი დავითი, მრავალი საინტერესო წერილი მიუძღვნა მან ოფეთის ტოპონიმიკის საკითხებს.

საოცრად ბედნიერი იყო, თითქოს წლები მხრებიდან ''ჩამოიბერტყა'', ყმაწვილკაცივით, ციბრუტივით ტრიალებდა, საკუთარ ეზოში დაწურული ''ადესით'', მჭადით, ყველით, ცივად მოხარშული დედლით, ჩაცივებული ნესვ-საზამთროთი და ''კიბულას'' ცივი წყლით გვიმასპინძლა რედაქციის მამაკაცებს ოფეთში ერთხელ.

ბატონი სოსო ხაჟალია თამადობდა. სუფრას თავად ბატონი დავითი და ბატონი ოთარ შანიძე, #1 სამუსიკო სკოლის დირექტორი ემსახურებოდნენ მასპინძლის რანგში.

ბატონები ოთარი და დავითი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ, ამ გარემოებასაც ეს ნათესაური კავშირი განაპირობებდა.

ძველ ფოტოებს ვათვალიერებდი ამას წინათ უმცროს კოლეგასთან ერთად. შოთიკო პაპავას მისთვის უცნობ ადამიანთა ფოტოებს ვაცნობდი, თან ახლო წარსულის ნოსტალგია მეძალებოდა. სწორედ ამ დროს აღმოჩნდა ფოტოებს შორის ბატონი დავითის ფოტოც და...

იდეაც მაშინვე დაიბადა, ერთხელ კიდევ გაგვეხსენებინა თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, სამშობლოს, ოჯახის წინაშე უზომოდ ვალმოხდილი, ომისა და შრომის ვეტერანი, ამაგდარი კაცი ბატონი დავით ჩხაიძე.

ნათელში ბრძანდებოდეთ, ბატონო დავით!

*ლევან გაბეჩავა*

---



ძმები ელგუჯა, ჯონდი, რძალი ირა წიქვაძე, ძმისშვილები ლევან, მანანა, ირმა, ნინო, გაბეჩავები, ძმისშვილიშვილები იზი, მარი ჩხეიძეები, თეონა კუბლაშვილი, სიძე ლევან მინჯორაია. ბიძაშვილები ჯემალ, ნათელა, ლიანა, გაბეჩავები, მამიდაშვილები რაული, ენდი, ნელი ბანძავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ომარ გიორგის ძე გაბეჩავა**

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ლევან გაბეჩავას ბიძის

**ომარ გიორგის ძე გაბეჩავას**

გარდაცვალების გამო.

---

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს ლევან გაბეჩავას ბიძის

**ომარ გიორგის ძე გაბეჩავას**

გარდაცვალების გამო.

---

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები თანაუგრძნობენ ბატონ ლევან გაბეჩავას

**ომარ გაბეჩავას**

გარდაცვალების გამო.

---

დემურ ტრაპაიძე ოჯახით თანაუგრძნობს გაბეჩავების ოჯახს

**ბატონი ომარის**

გარდაცვალების გამო.

---

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს მარინა ჩხაიძეს ბიძის

**დური კიკვაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ტორონჯაძეების ოჯახს ქალბატონი

**მერი სერგოს ასული ჯანჯალიას**

გარდაცვალების გამო.

---

№ 54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია თანაუგრძნობს ნანა ჯანგველაძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

---

# ეს საინტერესოა

მებაღეობა-მევენახეობაში განთქმულ ქართველებს ვაჭრობაშიც უცდიათ ბედი. ქართველი ვაჭრები ცხოვრობდნენ სავაჭრო-სატახტო ქალაქ ისპაანის ერთ-ერთ გარეუბანშიც. ისინი შორეულ ქვეყნებშიც მოგზაურობდნენ თავის სავაჭრო საქმეებზეო. გადმოგვცემს ადამ ოილვარიუსი. მოგზაური და მეცნიერი.

შაჰ-აბასის დროს განსაკუთრებით გამოუჩენია თავი ერთ ქართველ ვაჭარს, მისი არც სახელია ცნობილი და არც გვარი, ამ კაცმა რამდენიმე ინდაური ჩამოიყვანა ვენეციიდან ისპაანში და მთელი ქალაქი გააოცა, ინდაურს რომ პირველად ხედავდნენ ირანში!

ცნობილია, რომ ინდაური ინგლისში გავრცელდა 1524 წელს, გერმანიაში _ 1534 წელს, მოგვიანებით _ საფრანგეთში. თავდაპირველად ეს უცხო ფრინველი იმდენად იშვიათი და ძვირი იყო, რომ ვენეციაში ქალაქის საბჭოს უნდა გადაეწყვიტა, თუ როდის შეიძლებოდა სუფრაზე მისი მიტანა.

ისპაანში ქართველ ვაჭარს თითო ინდაური თითო თუმნად გაუყიდია. ალბათ, ყველა ვერ იგემებდა ეგზოტიკური ფრინველის სანაქებო ხორცს. ვინც შირაზულ ღვინოს მიირთმევდა, მარტო იმას თუ შეხვდებოდა ქართველი ვაჭრის წყალობით ვენეციიდან ისპაანში მოვლინებული ინდაურის დელიკატესი.

შემდეგ ინდაური რუსეთიდან გავრცელდა ფართოდ სხვა მხარეშიც და მათ შორის საქართველოშიც. კერძოდ მე-18 საუკუნეში.

ქართული ჯიშის ინდაური გამოიყვანა ცნობილმა მეცნიერმა, პროფესორმა ნანა ანთაძემ, მან თავის სოფელში, ვარძიაში, ხარაგაულის რაიონში, აარჩია ინდაურის ხალასი ქართული ჯიში და კრწანისში, მაშინდელ მეურნეობაში მოაშენა. მაშინ საერთოდ ჯიშზე, გენეტიკასა და ბაზრის მოთხოვნილებზე ჩურჩულიც კი აკრძალული იყო. 25 წელიწადში უკვე 5000 ინდაური ჰყავდა და მეფრინველეობის ფაბრიკებსა და მეურნეობებში არიგებდა გასამრავლებლად.

რატომ აირჩია მაინდამაინც ქართული და არა სხვა ჯიშის ინდაური? ქართული ჯიშის ინდაური უგემრიელესია. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში კარგად იზრდება და რაც მთავარია, ქართულ ინდაურს გააჩნია უნიკალური თვისება _ ის არ ასუქებს ადამიანს, ხორცი დიეტურია ადმიანის ორგანიზმში ცილების მარაგს მისი მკერდის თეთრი ხორცი 40%-ით ავსებს.

პროფესორ ნანა ანთაძის მიერ გამოყვანილი ინდაურის საშუალო წონა 12-15 კილოგრამია. მისი პოპულარიზაცია დაწყებული იყო საბჭოთა პერიოდში. მასზე სამეცნიერო ფილმიც კი გადაიღეს, სახელწოდებით ''ძროხა, ინდაური და ტელევიზორი'' (რეჟისორი გურამ ჟვანია).

კარგი იქნება, თუ გლეხური მეურნეობები და ფერმერები ფართოდ მოჰკიდებენ ხელს და ქართულ ინდაურს მოაშენებენ. რაც ხელს შეუწყობს ხორცით მოსახლეობის უზრუნველყოფას.

*მოამზადა აგრობიოლოგმა*
*ბორის კახიანმა*



# მარიამ გოთოშია პირველობას არავის უთმობს

ბათუმში დასრულდა საერთაშორისო ფესტივალი "ბათუმი 2016".

ფესტივალში მონაწილეობდნენ: აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, თურქეთისა და საქართველოს მოჭადრაკეები. ამ ძლიერ ტურნირში 7 შესაძლებლობიდან 5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა მარიამ გოთოშიამ.

საერთაშორისო ფესტივალის შემდეგ 1-7 აგვისტოს კი ამბროლაურში ჩატარდა რესპუბლიკური ფესტივალი "რაჭა 2016." 9 წლის მარიამმა გოგონებთან და ვაჟებთან ერთად პაექრობაში ტოლი არავის დაუდო და 7-იდან 5 1/2 ქულით პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ უშუალო კონკურენტი ლიზი ფოჩხუა მარიმ დაამარცხა ლამაზ კომბინაციურ სტილში.

მარიამის მწვრთნელი ბესო ლეჟავაა, რომელიც ძალღონეს არ იშურებს ნიჭიერი მოჭადრაკეების აღზრდაში. აქვე მინდა მივუთითო, რომ მარიამ გოთოშიას ფინანსურ მხარდაჭერას უწევს სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლა (დირექტორი ივანე კილტავა). ამავე ტურნირში 16 წლამდე ასაკში მონაწილეობდა საბა არაბიძე, რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.



მარიამი და საბა დაჯილდოვდნენ თასებით, დიპლომებით და ფულადი პრიზებით.

გაცნობებთ, რომ მარიამ გოთოშია მიმდინარე წლის ოქტომბერში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ასაკობრივ პირველობაზე ბათუმში.

ახალ-ახალი წარმატებები ვუსურვოთ ნიჭიერ, ნორჩ მოჭადრაკე მარიამ გოთოშიას!

გულიკო გოგიტიძე
ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პედაგოგი



ოთარ შანიძეს!

სიმახვილე გრძნობის,
მზერის,
აზრის,
ენის...
გასარჩევი მისი
ერისაგან ბერის.
უმცდარობის კართან
მოდარაჯედ მდგომი,
ცოდნის,
სიტყვის,
საქმის
თანაარსის მნდომი.
იმიტომ რომ ავგულს
განს გაუდგა უბრად,
აღარ დარჩა მხოლოდ
წუთისოფლის სტუმრად!

ლუკა ლევიძეს!

ჩვენო ჭკვიანო და ვაჟკაცო ბიჭუნავ, გილოცავთ 15 წლის შესრულებას. ლამაზ სხეულში ლამაზი სული არისო, ნამდვილად შენზე არის ნათქვამი. საუკეთესო მომავალს გისურვებთ, ჩვენო ლუკა, არასოდეს გვენახო გაწბილებული, წარმატება და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს!

"სამტრედიის მაცნე"



ვულოცავთ!
ბატონ თენგიზ ცაგურიას!

დაბადების დღეს გილოცავთ. წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

იხარეთ და იდღეგრძელეთ!

"სამტრედიის მაცნე"

---

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონებს, დათო ბაღდავაძეს და თენგიზ ცაგურიას. ჯანმრთელობას და ხანგრძლივ ცხოვრებას ვუსურვებთ.

უფალი გფარავდეთ!

რაიონის ვეტერანთა კავშირი



ფოტო განწყობისთვის
მარიამ გიგინეიშვილი

ბატონ ალექსანდრე მუქერიას!

გილოცავთ დაბადების დღეს, ბედნიერი დღეები არ მოგკლებოდეთ. უფალმა გაგაძლიეროთ!

ბექან გოგია და თამაზ ნიკურაძე

---

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია, კომისიის თავმჯდომარეს, ნანა იმნაძეს ულოცავს მეუღლის, **ალექსანდრე მუქერიას** დაბადების დღეს. უსურვებს წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ქეთევან ჭავჭანიძეს!

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო უღალატო მეგობარო, ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. იხარე და იდღეგრძელე.

მედეა ჭკადუა

ზუკა მელქაძეს!

გილოცავთ ოქროს დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ლაღ ბავშვობას, უფალი იყოს შენი შემწე და მეოხი, გამრავლდი და გაიხარე ორთავსა სოფელს შინა.

შენი მშობლები სოფო და კახა.

იყიდება

სამტრედიაში ლაშა თევზაძის ქუჩაზე (ყოფილი გამარჯვების ქ. №25) იყიდება სასწრაფოდ 3 ოთახიანი სარემონტო ბინა ლოჯით და ორი დიდი აივნით.

**ტელ.: 579 14 74 17.**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა